# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 6 იანვარი, 2012 წელი.

№3 (6880)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „მიშა თავის–უფალია!“



③ კომენტარი ია ანთაძის ბლოგზე — „გადადგება თუ არა მიხეილ სააკაშვილი?“

## არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა...

② 

## ქართული მედია 2011 წელს

④ 


## საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ

⑤ 



⑥ 

## აფხაზები კრემლს ძალიან გაუთამამდნენ, თუმცა 2014 წლის ოლიმპიადამდე მოსკოვი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას მოერიდება

## სსრ კავშირის დანგრევისთვის რუსები გორბაჩოვს გაასამართლებენ ⑧



ინფორმაცია

## კონტროლის პალატა ფინანსურ ანგარიშს „ქართული ოცნებისგანაც“ ითხოვს

**კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური ფინანსურ ანგარიშს საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართული ოცნებისგანაც“ ითხოვს. როგორც სამსახურის ხელმძღვანელმა ნათია მოგელაძემ ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა, შესაბამისი ფორმა, პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, „ქართულ ოცნებასაც“ გაეგზავნება.**



„კონტროლის პალატის მონიტორინგი ვრცელდება არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე, არამედ იმ იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებზეც, რომელთაც აქვთ გაცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები; რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიებთან და დეკლარირებული აქვთ ყველა პოლიტიკური მიზანი. ასეთად, დღეის მდგომარეობით, არა ჩვენი შეფასებით, არამედ მათივე განცხადებიდან გამომდინარე, მოიაზრება საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“. კანონის სულისკვეთების გათვალისწინებით, მათ გაეგზავნებათ წერილი, სადაც გონივრულ ვადას განვუსაზღვრავთ, რათა მოგვაწოდონ ინფორმაცია, რომელიც მათ მიერ განხორციელებულ ფინანსურ საქმიანობას ეხება, – აღნიშნა მოგელაძემ.

კონტროლის პალატა „ქართული ოცნების“ მიერ 2011 წლის 1-ელი ნოემბრიდან 1-ელი იანვრის ჩათვლით განხორციელებული ფინანსური საქმიანობის ანგარიშს ითხოვს.

ამასთან, პოლიტიკურ პარტიებს ანგარიშების წარსადგენად ვადა 1-ელ თებერვლამდე აქვთ, ხოლო „ქართულ ოცნებას“ კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური „გონივრულ ვადას“ განუსაზღვრავს.

## თინა ხიდაშელი პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს სადამსჯელო უწყებას ადარებს

**ამასთან, ხიდაშელს მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელად მთავარი პორკურატურის კადრის დანიშვნა არ უკვირს.**

– ვინმე სხვა რომ ყოფილიყო, ის გამიკვირდებოდა. ეს ქვეყანა პოლიციურ სახელმწიფოდ იქცა, ამიტომ ერთადერთი სანდო კადრი, რომელიც მათ ჰყავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ან პროკურატურის თანამშრომლები არიან. გასაგებია, როცა პოლიტიკური პარტიების სადამსჯელო უწყებას ქმნიან, მას ძალოვანი უნდა ჩაუყენონ სათავეში, – განაცხადა ხიდაშელმა.

ამასთან, რესპუბლიკურ პარტია ფინანსურ მონიტორინგში პრობლემას ვერ ხედავს, რადგან, თინა ხიდაშელის თქმით, პარტიას დასამალი არაფერი აქვს.

– არავითარი პრობლემა ჩვენი მხრიდან არ არსებობს. უნდა ეშინოდეთ მათ, ვისაც რამე აქვს დასამალი. ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, მოვიდნენ და გააკონტროლონ, რაც უნდათ. მთავარია, საქმიანობაში ხელი არ შეგვიშალონ. კანონში არის ძალიან სახიფათო დებულება, რომელიც ამბობს, რომ გაუგებარი ეჭვების საფუძველზე პარტიის ანგარიშებს შესაძლოა, ინკასო დაადონ. მთავარია, ეს მექანიზმები უხეშად არ იყოს გამოყენებული, – აღნიშნავს ხიდაშელი.



კონტროლის პალატაში პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურს ნათია მოგელაძე უხელმძღვანელებს. მოგელაძე პროფესიით იურისტია და კონტროლის პალატაში გადასვლამდე მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობდა.

## ზურაბ ხარატიშვილი – ცესკო არჩევნების ოქტომბერში ჩასატარებლად მზად არის

**ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ოქტომბერში ჩასატარებლად მზად არის, – ამის შესახებ ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნები, კონსტიტუციის შესაბამისად, ოქტომბერში გაიმართება, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაცია მომავალი არჩევნებისათვის მზადებას ბოლო არჩევნების დამთავრებისთანავე, 2010 წლის 30 მაისიდან შეუდგა.**

– შევიმუშავდა სტრატეგიული გეგმა, გვაქვს საკმარისი რესურსები როგორც ადამიანური, ისე ფინანსური, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია კარგად მოემზადოს მომავალი არჩევნებისთვის, – განაცხადა ხარატიშვილმა.

ცესკოს თავმჯდომარის თქმით, მომავალი 5 წლის განმავლობაში ცესკოს სულ არჩევნების პერიოდი აქვს, რაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

როგორც ხარატიშვილი აცხადებს, შემდგომი არჩევნები უნდა გახდეს ის გარდამტეხი პერიოდი, რომლის შედეგადაც არჩევნები გახდება ჩვეულებრივი მოვლენა და არ გამოიწვევს სოციალურ და პოლიტიკურ კატაკლიზმებს.



ზურაბ ხარატიშვილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გუშინ შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნები კანონის მიხედვით, ოქტომბერში ჩატარდება და დარჩენილი 9 თვე საკმარისია იმისთვის, რომ ქვეყანა არჩევნებს მომზადებული შეხვდეს.

## ლეიბორისტები ნათია მოგელაძის დანიშვნას აპროტესტებენ

**ლეიბორისტები პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით კონტროლის პალატის წარმომადგენლად ნათია მოგელაძის დანიშვნას აპროტესტებენ. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სოსო შატბერაშვილმა განაცხადა, ხელისუფლებამ კონტროლის პალატის წარმომადგენლად, ფინანსისტის ნაცვლად, პროკურორი დანიშნა.**

– გიხაროდენ, საქართველოში საბოლოოდ დამთავრდა ფორმალურად მრავალპარტიული სისტემა. დღეიდან ნაციონალური მოძრაობის და მისი სატელიტი ძალების გარდა, ყველა პარტია ექვემდებარება დიქტატორ სააკაშვილის მიერ დანიშნული სპეციალური პროკურორის ზედამხედველობას, ხოლო პოლიტიკური მოღვაწეობა ფაქტობრივად ცხადდება დანაშაულად, – განაცხადა შატბერაშვილმა.



ლეიბორისტული პარტია მსოფლიოში მოქმედ ყველა დემოკრატიულ პარტიას მოუწოდებს, ხმამაღლა დააფიქსირონ პროტესტი „საუკუნის ამგვარ სირცხვილთან დაკავშირებით“.

„იმედია, ევროპის პარტიათა ლიდერები ახლა მაინც შეიკავებენ თავს „ნაციონალური მოძრაობის“ ფეშენებელური ოფისების გახსნისას წითელი ლენტის საზეიმოდ გაჭრისაგან“, - განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

## საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობას მისამართი შეეცვლება

**საოლქო საარჩევნო კომისიების უმეტესობა მისამართს შეიცვლის, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა განუცხადა.**

მისი თქმით, ცვლილება ხდება იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო ოლქებს გამგეობების ან რეგიონული თვითმმართველობებისა და სამხარეო რწმუნებულის ოფისებში განლაგებას კანონი უკრძალავს.

– ამ თვალსაზრისით, საოლქო კომისიების უმეტესობას მისამართები შეეცვლება. თავად ცესკო ისევ იქ იქნება, სადაც არის. ყოველ შემთხვევაში, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში არაფერს ვგეგმავთ, – განაცხადა ხარატიშვილმა.

ამასთან, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჯერ არც ახალი პრესსპიკერი შეურჩევიათ.

**ინტერპრესნიუსი**

სასჯელაღსრულება

## არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა...

**...ამგვარია სასჯელის აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიდგომა პატიმართა გარდაცვალების საკითხისადმი.**

თუ 2009 წელს გარდაცვლილ პატიმართა 46 პროცენტი სასჯელაღსრულების დაწესებულების სამკურნალო და სამედიცინო დაწესებულებებზე მოდიოდა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი განახევრდა, კლება მოხდა იმის ხარჯზე, რომ მძიმედ დაავადებული პატიმრები ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში გადაჰყავთ. ამ მხრივ პირველ ადგილზეა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი. ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოში გარდაცვლილ პატიმართა 43 პროცენტი „ხუდადოვზე“ მოდის. სახალხო დამცველის მოხსენებაში პირდაპირ არის მითითებული პენიტენციური სისტემიდან სამოქალაქო საავადმყოფოებში მძიმედ დაავადებულთა გადაყვანის მიზეზი – დაფიქსირდეს სიკვდილი სასჯელის აღსრულების სისტემის გარეთ. სახალხო დამცველი ტუღუში კალმახელიძის ამგვარ ვირეშმაკობას, „სიკვდილის ექსპორტად“ მოიხსენიებს.

ამჟამად ჩვენს ციხე-კოლონიებში სასჯელს იხდის 23684 პატიმარი (2011 წლის 9 თვის მონაცემებით. წლიურს ჯერ არ გვაჩვენებენძ. აქედან 22307 მამაკაცი და 1171 ქალია. დანარჩენები არასრულწლოვანები არიან. შედარებისთვის: 2010 წელს ჩვენს საპატიმროებში 21098 მსჯავრდებული იყო. გამოდის, რომ არასრულ 1 წელიწადში სასჯელმისჯილთა რაოდენობა 2586-ით გაიზარდა. ეკლებით მოსულთა გახელისუფლიანობის დროიდან, ანუ 2004 წლიდან კი – 7030-ით.

ოფიციალური მონაცემებით 2005-2010 წლებში საქართველოს სასჯელის აღსრულების დაწესებულებებში 513 სასჯელმისჯილი გარდაიცვალა. სიკვდილიანობის პიკმა 2010 წელს მიაღწია – 146. გასულ 2011 წლის არასრული მაჩვენებლებით გარდაცვლილთა რაოდენობა 77-ია. ამ ციფრებით ვერ ხერხდება გარკვევა, თუ ვინ რა დაავადებითაა გარდაცვლილი. მსგავსი პრობლემები შეიქმნა (თუ შეუქმნესძ სახალხო დამცველის აპარატსაც.

საქართველოს კანონით, „პაციენტთა უფლებების შესახებ“ 45-ე მუხლის I პუნქტში წერია – სამედიცინო მომსახურება პატიმრობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ხორციელდება სახელმწიფო-სამედიცინო პროგრამების საშუალებით. ადამიანის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები და თვით ომბუდსმენის ოფისი თვლიან, რომ სასჯელაღსრულების სამედიცინო დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ პატიმართა კანონის შესაბამის მკურნალობას.

ერთ-ერთი არასამთავრობოს ლიდერი ნანა კაკაბაძე თვლის, რომ საპატიმროებში ტუბერკულოზი გადაიქცა ეპიდემიად. მისით დაავადებულთა რიცხვი მკვეთრად სჭარბობს ჰეპატიტით დაავადებულებისას. ხშირად დასკვნებში არასწორად წერენ გარდაცვალების მიზეზს – გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, სინამდვილეში ადამიანი ტუბერკულოზითაა დაავადებული. მედიკოსებს ტუბერკულოზის გავრცელების საუკეთესო პირობად დახურული ტიპის საპატიმროებში (ციხეებშიძ არსებული სიტუაცია მიაჩნიათ. არასათანადო კვება, ჰაერის ნაკლებობა, სინოტივე, მედიკამენტების უქონლობა, თვითდინებაზე მიშვებული მკურნალობა და, რაც ყველაზე მთავარია, ამ სენით მძიმედ დაავადებულების ჯანმრთელებთან ერთად გაუნიავებელ ოთახებში ყოფნა – ნოყიერი ნიადაგია ტუბერკულოზით დაავადებისა და გავრცელებისა – თვლიან საქმეში ჩახედულნი.



პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღეისთვის 1300-მდე ტუბერკულოზით დაავადებულია. მათგან 90 ქსნის ტუბზონაში გადის მკურნალობას. ისინი მულტირეზიდენტული ფორმის მატარებლები არიან და სასიკვდილოდ ჰყავთ განწირულები, რადგანაც სახელმწიფო მათ მკურნალობაზე თანხებს ვერ იმეტებს.

არასამთავრობოები აცხადებენ, რომ გარდაცვლილ პატიმართა უმრავლესობას დადგენილი ჰქონდა დაავადებათა მძიმე, განუკურნებელი დიაგნოზი. მაგრამ კანონით დადგენილ სასჯელთა გადავადების ან ვადამდე განთავისუფლების საკითხი არავის დაუსვამს.

ადამიანის უფლებათა დამცველები ვერ იხსენებენ თუნდაც ერთ ფაქტს, როდესაც საპატიმროში ჯანმრთელად შესული ადამიანი იქიდან დასნოვანებული გამოსულა და სახელმწიფოს მისთვის თუნდაც დახმარების სახით მიზერული თანხა გადაეხადოს. არადა ამგვარი პირების მხრიდან შემოსული საჩივრები მრავლადაა როგორც მთავარ პროკურატურაში, ასევე სხვადასხვა დონის სასამართლო ინსტანციებში. მართლმსაჯულება და თემიდა ამ კატეგორიის ხალხს კანონით გათვალისწინებული პასუხის ღირსადაც არ ხდიან.

**ზაზა ბილიხოძე**

## რეაქცია

**კითხვა ნამდვილად დროულია — გადადგება თუ არა ამხ. სააკაშვილი!**

**მე მაინც მგონია, რომ არ გადადგება და აი, რატომ:**

მიხეილ სააკაშვილი არის ისეთი მოთამაშე, რომელიც მხოლოდ მაშინ მიდის რისკზე, როცა ორი ჯოკერიდან სამივე მისია! 2008 წელს მისი მთავარი ჯოკერი, ჩემი მოკრძალებული აზრით, იყო აშშ ელჩი ჯონ ტეფტი, რომელიც ყველაზე უფრო მიკერძოებული ელჩი იყო, რაც კი აშშ მთავრობას საქართველოში ჰყოლია. ელჩი, რა თქმა უნდა, მიკერძოებულია ყოველთვის — თავისი ქვეყნის და მთავრობის ინტერესების გამტარებელია, აი, ტეფტი კი გაცილებით მეტად მიხეილ სააკაშვილის კლანური ინტერესების გამტარებელი იყო და იმედი მაქვს, მოვა დრო, როცა მას მოუწევს როგორც ქართველი კანონმდებლების, ასევე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის სერიოზულ კითხვებზე პასუხის გაცემა. მაგალითად, რატომ გადასცემდა ყველა სხვა ელჩისაგან განსხვავებულ ინფორმაციას 2008 წლის აგვისტოს ომის წინა დღეებში და კიდევ იმ კითხვებზე, რაც სააკაშვილის ჩვენებების შემდეგ გაჩნდება...

მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ ეუთოს მისიაში მთავარ დამკვირვებლად ამერიკელი სენატორის და ყოფილი ფედერალური მოსამართლის (რომელიც შემდეგ 150,000 დოლარის ქრთამის აღებისათვის ამ სამსახურიდან გაათავისუფლესძ შერჩევა ტეფტის ჩაურევლად არ მომხდარა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ტეფტს მიშას ერთგულებას აშშ მთავრობა და სახელმწიფო დეპარტამენტში მისი უშუალო კურატორი, ასევე ცნობილი მიშისტი მეთიუ ბრაიზაც ურჩევდნენ. აშშ პრეზიდენტის სულსწრაფი მილოცვაც ჯერ კიდევ შედეგების გამოცხადებამდე კიდევ ერთი ნიმუშია, რა სერიოზული ჯოკერი ეჭირა ხელში დემოკრატიის შუქურყოფილს.

**დღეს აშშ ელჩის პოზიცია ძირეულად განსხვავებული მგონია იმისგან, რასაც ტეფტი აკეთებდა 2007 წლის ნოემბერში, როცა სააკაშვილის გადადგომის და დაბრუნების სცენარი იწერებოდა. ჯერ ერთი, ჯონ ბასი გაცილებით უფრო პრინციპული ადამიანი ჩანს მედიის და სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხებში, ხოლო ახლა უკვე — საპარლამენტო თაღლითობების დაუყოვნებლივ კრიტიკაშიც, მეორეც — აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი სულ უფრო რეგულარულად ახსენებს სააკაშვილს, რომ არჩევნები მისი ტესტი იქნება და საქართველოსთან მომავალი ურთიერთობები სწორედ ამ ტესტის ჩაბარებაზე არის დამოკიდებული, და რომ აშშ ადმინისტრაცია მხარს არ უჭერს არც ერთ პარტიას და კანდიდატს, არამედ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას. და ბოლოს — არა მგონია, რომ მიშასადმი უნდობლობის დემონსტრირება პერსონალური ფაქტორებით იყოს განპირობებული.**

აშშ ადმინისტრაცია ვერ გაამართლებს თვალის დახუჭვას საარჩევნო დარღვევებზე საქართველოში, როცა ასე მკაცრად შეაფასა საარჩევნო დარღვევები რუსეთში. და თუ მაინც წავა ამაზე, ამით წერტილს დაუსვამს საქართველოს მოსახლეობის პოზიტიურ განწყობას ამერიკისადმი და ქართულ საზოგადოებას უბიძგებს, რომ ერთმორწმუნე რუსეთი უფრო მისაღებად აღიაროს, ვიდრე ისეთი ამერიკა, რომელიც ქართველი ხალხის პარაზიტების მხარდაჭერით არის დაკავებული.

**აქედან გამომდინარე, რამდენადაც სააკაშვილს არ უნდა ჰქონდეს ამერიკიდან მხარდაჭერის დიდი იმედი, ევროპიდან მხარდაჭერის იმედი კიდევ უფრო მიზერულია, იმის შანსი კი, რომ იგი მშვიდად გადადგება და თავის ბედს სასწორზე შეაგდებს, ნაკლებია!**

**2. სააკაშვილს აბსოლუტურად არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ იგი ივანიშვილს შეუთანხმდება! ასე რომ, 2007 წელს მოქმედი მეორე ჯოკერიც არ აქვს. ივანიშვილის საცდუნებლად მას ქვეყნის ბიუჯეტიც არ ეყოფა. ივანიშვილი არ ყოფილა მისი საარჩევნი შტაბის უფროსი და, ლევან გაჩეჩილაძისგან განსხვავებით, არ ენდობა მიშას დაპირებას — ეს ერთი მომაგებინე და შემდეგ არჩევნებს წესიერად ჩავატარებო! მიშას მთელი ტაქტიკა ახლა გათვლილია იმაზე, რომ დააშინოს ივანიშვილი და ქვეყნიდან გაქცევა აიძულოს, მაგრამ მას უნდა ეს სხვების ხელით განახორციელოს, ხოლო თავად აბსოლუტურად ყალბი განცხადება გააკეთა ბი-ბი-სისთან, რომ თურმე ივანიშვილი მისთვის და ნაცმოძრაობისთავის კარგია, რადგან კონკურენცია პირადად მას და ნაცმოძრაობას მოდუნების საშუალებას არ აძლევს და აძლიერებს!!! საინტერესოა, რომ ამის შემდეგ პრეზიდენტს საკმარისი დრო ჰქონდა, ეს „გამაძლიერებელი კონკურენტი" საქართველოს მოქალაქედ დაებრუნებინა, მაგრამ არაფრით სურს ამის გაკეთება. პირიქით, აბსოლუტურად დრაკონული საბანკო, საფინანსო და პოლიტიკური რეგულაციები და რეტროაქტიული კანონები მიაღებინა პარლამენტს!**

**3. სააკაშვილი ბოლომდე ვერ ენდობა ბაქრაძეს! ბაქრაძემ კარგად დაინახა, როგორ გამოიყენა და გადააგდო სააკაშვილმა ნინო ბურჯანაძე და არა მგონია, ნინოს ბედის გაზიარება სურდეს. ბაქრაძე ბურჯანაძესთან შედარებით კი არის თონთლო ჟელე, მაგრამ ამ ჟელეს უკან საკმაოდ ხისტი პიროვნებებია და არავინ იცის, მიშას რა კვანტს დაუდებენ, როცა იგი უკვე რიგითი საპარლამენტო კანდიდატი იქნება. ვაი-და უცებ ისევ მოიშვას სადმე გაზის ვინტილმა, ან საბურავმა დაუშვას ტრასაზე? მერე ხომ დროებითი ბაქრაძე ხანგრძლივ მარიონეტად ტრანსფორმირდება? ამის შანსი, რა თქმა უნდა, დიდი არ არის, მაგრამ თქვენ როგორ გგონიათ, მიშას ხურვებაშეყრილი ტვინი ასეთ ვარიანტს არ ითვალისწინებს?**

**4. სააკაშვილი თუ პარლამენტის თავმჯდომარეობას აპირებს, მას კიდევ ერთხელ მოუწევს მრავალჯერ გადაკეთებული საკონსტიტუციო პიჯაკის ხელახლა გადაკეთება (ქვეყნის მთავარ კანონში პრემიერის ფიგურის „ჩამოლაბორანტება" და სპიკერის „გაკეისრება") და ეს — საახალწლო „ჭრა-კერვის" მერე — უკვე საერთოდ მოთხრის მის რეიტინგს მსოფლიოში. თან გაითვალისწინეთ, თუ მას ეს უნდა გააკეთოს — ეს ახლავე უნდა გააკეთოს, სანამ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს!**

**5. მთელი მსოფლიო აშშ და ჩინეთის ჩათვლით სერიოზული პოლიტიკური პერტურბაციების (მაგალითად, ირანზე დარტყმის, აშშ-პაკისტანის სერიოზული დაშორების და სულაც თურქეთ-ისრაელის ურთიერთობების გამწვავების) მოლოდინშია. მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს ამას იმ მღვრიე წყლად აღიქვამს, რომელშიც იგი სათავისო თევზის დაჭერას შეეცდება და ამდენად, ძალიან არ ენდომება ამ მომენტებს უმრავლესობის სიის პირველ ნომრად მყოფი შეხვდეს და არა — ქვეყნის ნომერ პირველ პირად. იგივე ეხება სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისს, რომელიც თუ დაიწყო და საქართველოსაც გაჰკრა კუდი, სააკაშვილის გუნდმა (მაგალითად, ბოკერიამ) დასავლეთის მხრიდან ნდობის მოსაპოვებლად სწორედ სააკაშვილის ჩაძირვა შეიძლება გამოიყენოს — არ დაგავიწყდეთ, ერთადერთი რეალური შანსი, რომ საქართველოს უკვე 2012 წელში გადასახდელი ვალების პროცენტების რესტრუქტურიზაცია მოუხდინონ, ეს ისაა, რომ ქვეყანაში მთავრობა შეიცვალოს. ასე რომ, სააკაშვილის მიერ პუტინის კოპირება კი არ არის პრობლემა, არამედ ის, რომ 2013 წლის შემდეგ სააკაშვილი უნდა გახდეს რიგითი მოქალაქე — რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს პარლამენტარი, ან მშენებლობის თუ კულტურის მინისტრი, მაგრამ არა ისეთი ძლევამოსილი პიროვნება, რომელსაც ჯარი, ფინანსები, პოლიცია ან სასამართლო დაემორჩილება!**

# „მიშა თავის-უფალია!"



## კომენტარი ია ანთაძის ბლოგზე — „გადადგება თუ არა მიხეილ სააკაშვილი?"

ამიტომ ჩემი ვარაუდი ასეთია — მიხეილ სააკაშვილი, 2008 წლისგან განსხვავებით, ახლა არ წავა ასეთ სარისკო ნაბიჯზე (რომელიც, 2008 წელს მხოლოდ მოჩვენებით იყო „სარისკო" და სინამდვილეში კარგად ჩაწყობილი ბლეფი იყო, რომელიც ჩელენტანოსაც კი შეშურდებოდაძ და არ გადადგება.

იგი ეცდება არჩევნები დანიშნოს ვადამდე — მაგალითად 2012 წლის 5 მაისს, რაც შეიძლება შეზღუდოს ქვეყანაში უცხოელი დამკვირვებლების ჩამოსვლის შანსი, თუ დასჭირდა, წავიდეს სერიოზულ გართულებებზე დასავლეთთან, რომელიც თითქმის დარწმუნებულია, რომ მის მიერ ჩატარებულ არჩევნებს და სააკაშვილის გაპრემიერებას მაინც გააკრიტიკებს და მოიგოს არჩევნები სერიოზული ძალადობის წყალობით (რისთვისაც უკვე ამზადებს ე.წ. ნებაყოფლობით რეზერვს სამეგრელოში და ზონდერბრიგადებს შიდა ქართლსა და კახეთშიძ, რასაც დაემატება სახლმმართველობის მღედრიონის, ადმინისტრაციული მოსყიდვების და უბნებზე საკუთარი ამომრჩევლების მასობრივი მობილიზაცია და კარუსელები.

**ანუ 2012 წლის არჩევნები იქნება ყველაზე უსამართლო საქართველოს ისტორიაში, როდესაც ხელისუფლება წამსვლელია თუნდაც სამოქალაქო ომის გაჩაღებაზე ან — უფრო დახვეწილად — რუსეთის შემოჭრის იმიტაციაზე (რისი „წარმატებული" ვერსია იმედმა უკვე დატესტა 2010 წელს) და არჩევნების წინ ოპოზიციის ლიდერების დროებით დაკავებაზე ან სხვა პროვოკაციებზე.**

**მაგრამ ბოლოს ისეთი რამე უნდა ვთქვა, რაც ნებისმიერი ლოგიკური ანალიზის სარგებელს აქარწყლებს.**

**მიხეილ სააკაშვილის დღევანდელი მდგომარეობა არის პარანოიდული კრიზისის ზღვარზე და მისი არასტაბილური ფსიქიკა რას მოიმოქმედებს, ისევე ძნელი გასათვლელია, როგორც ჰიტლერის მოქმედებები 1945 წლის გაზაფხულზე. ასევე წარმოუდგენელია გათვალო მისი გუნდის წევრების ქმედებებიც, რომლებიც ჯერჯერობით ჩრდილში დარჩენას ამჯობინებენ, მაგრამ სააკაშვილისაგან განსხვავებით არანორმალური ფსიქიკა არ ახასიათებთ და სანამდე დარჩებიან ერთ ნავში არასტაბილური ფსიქიკის მქონე ადამიანთან, რომელიც რეალობას სულ უფრო შორდება, ძნელი სათქმელია.**

**ფაქტი ერთია, მიხეილ სააკაშვილი თუ გააგრძელებს ისეთივე მოქმედებებს, როგორსაც 2011 წლის 10 ოქტომბრიდან ახორციელებს, ბიძინა ივანიშვილის პოპულარობას სწორედ მიხეილ სააკაშვილი გაზრდის! თუ მიშას არჩევნების მოგება უნდა, იგი უნდა დაბრუნდეს ძალადობის და შულერობის ველიდან პოლიტიკური ბრძოლის ველზე, გამოაცხადოს თავისი გეგმები (და ეს არ გადააბაროს გრიგოლ ვაშაძეს, რომლის მარიონეტობა უცხოეთისთვის აშკარაა) და მიიღოს მონაწილეობა დებატებში, ნაცვლად იმისა, რომ მხოლოდ „პრეზიდენტ-ატკრივალკა" იყოს... თუ მას ჰგონია, რომ რაიონებში მის მიერ დადგმული სპექტაკლები ძალიან მაღალი დონისაა, მინდა გავაწბილო — არც მეიერჰოლდია და არც ეიზენშტეინი, რომ მსოფლიო 8 წელი ტაშს უკრავდეს...**

**მიხეილ სააკაშვილი, 2011 წლის შემდეგ, უფრო არალეგიტიმური და ავტოკრატი მმართველი გახდა რეგიონში, ვიდრე მეზობელი რესპუბლიკების ლიდერები. და მას არც რუსეთის არმია ჰყავს მხარდამჭერად და არც ნავთობის და გაზის უზარმაზარი რესურსები. ასე რომ, მისი ერთადერთი შანსი ქვეყანაში სერიოზულ დესტაბილიზაციაზე გადის. ხოლო დესტაბილიზაცია რომ არავის აწყობს, ეს ორჯერ ორი ოთხია.**

**ასე რომ, შალვა ნათელაშვილის აფორიზმის პერიფრაზი რომ გავაკეთო, მიხეილ სააკაშვილის სიტყვები ასეთი იქნება**

Not to be or... not to be

**სოლომონ თერნალი,**

Presage.tv

## ისტორიის გაკვეთილები

# გვახსოვდეს 1992 წლის 6 იანვარი...

## ზვიად გამსახურდიას ექსორიის 20 წლისთავი

ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ! — ამ ძველ, მაგრამ მარად ახალ შაჰაბასისეულ წყევლას შესაშური ერთგულებით ვასრულებთ ყველა თაობა ყველა ეპოქაში. და აი, ახლაც, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ისე დაუნდობლად დავერიეთ ერთმანეთს, კრწანისის ომსაც შეშურდებოდა. ხალხი ბრძენია და იმთავითვე მას „თბილისის ომი" დაარქვა...

წამქეზებელი ვინ იყო, ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენ თვითონ უნდა იდგე იმ სიმაღლეზე, რომ მის ანკესზე არ წამოეგო. იმპერიას ხომ, მუდამ „გათიშე და იბატონეს" პოლიტიკა აქვს მზად შენი დაპყრობა-დამორჩილებისთვის. ეს მერეც არაერთხელ გამოჩნდა „აფხაზეთის" თუ „ცხინვალის" ომის სახით, „კავკასიური ომების" საერთო სახელდებით რომ შევა უთუოდ ისტორიაში. დიახ, მიდის დაუნდობელი და სისხლისმღვრელი ომი საქართველოსა და კავკასიის მომავალი ბედისათვის...

აქ გვჭირდება „ერთი პირი" ყველას და არა იმ ჩვენი დამაქცეველი წყევლის აღსრულება. ერთობა რომაა ამის გზამკვლევი, გიორგი ათონელისა და დავით აღმაშენებლის „ერთნებაობა-თანადგომის" დამკვიდრება, ეს ვინ არ იცის. მაგრამ საქმეც ის არის, რით და როგორ შევძლოთ ეს, რა ახალი „რუის-ურბნისის კრების ძეგლისდებით", მისი სამართლებრივი და ზნეობრივი პრინციპებით?!.

ღმერთმა ესეც გვიბოძა ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის, თუკი ამის დანახვას და გათავისებას შევძლებთ. „საქართველოს თანამდევი უკვდავი სულით" გადმოგვეცა ეს, ილია მართლის მართალი სიტყვით და მართალი საქმით, მისი და მისი თანამოაზრეების „საერთო ნიადაგის" თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპებით. ეს თეორია კი, სწორედ შაჰ-აბასის იმ საშინელი წყევლის საპირწონედ შეიქმნა. ახლა მთავარი ის არის, რომ როგორც თვითონვე გვიანდერძა, ეს ყველაფერი „გაკანონდეს და ქვეყნის სამსახურში ჩადგეს".

ღმერთმა ქნას, რომ ეს ასეც მოხდეს. მაშინ გასახსენებელიც აღარ გვექნება ეს ეშმაკისეული ძველი „ბაზალეთის", თუ ოცი წლის წინანდელი „თბილისის" მსგავსი ძმათამკვლელი ომები, ასე მოუშორებლად რომ გვდევს თან ძველი თუ ახალი „ძნელბედობებით"...

თუ მართლაც ევროპული ქვეყანა და დემოკრატიული სახელმწიფო გვინდა, უნდა გავითავისოთ: ოპოზიცია და ხელისუფლება მოსისხლე მტრები კი არა, ერთ უღელში შებმული ორი დიდი საქვეყნო და ეროვნული ძალაა. საკმარისია ერთ-ერთმა მათგანმა ეს უღელი არ გასწიოს, რომ უბედურება მოუტანოს ერსაც და ქვეყანასაც. აქ პასუხისმგებლობა ორივეს ეკისრება, განსაკუთრებით კი, ხელისუფლებას...

ამას გვასწავლის „საერთო ნიადაგის" თეორიაც და 20 წლის წინანდელი „თბილისის ომის" გაკვეთილებიც. ორივეს ჩვენგან შესწავლა და გათვალისწინება სჭირდება...

**ელზერდ ბატიაშვილი**

# ქართული მედია 2011 წელს

**2011 წელს ჟურნალისტები, მედიაექსპერტები და, უბრალოდ, საქართველოს მოქალაქეები ქართული მედიის მხარდასაჭერად არაერთხელ გავიდნენ ქუჩაში და საპროტესტო აქციები მოაწყვეს, 2011 წელს ისინი მედიაზე განსაკუთრებული ზეწოლის წლად მოიხსენიებენ.**




## ბრძოლა მედიის გადასარჩენად საკანონმდებლო ცვლილებებით

ბრძოლა მედიის გადასარჩენად ჯერ კიდევ 2011 წლის იანვარში დაიწყო.

საინიციატივო ჯგუფმა, რომელშიც მედიაექსპერტები, იურისტები, კონსტიტუციონალისტები შედიოდნენ, საქართველოს პარლამენტს რვა კანონპროექტში შესატანი ის ცვლილებები და დამატებები წარუდგინა, რომლებსაც საქართველოს მედიაში არსებული მძიმე ვითარება უნდა შეეცვალა. განსაკუთრებით მკვეთრი პოზიცია კანონპროექტების ავტორებს მედიამფლობელების გამჭვირვალობის თაობაზე ჰქონდათ. წლის დასაწყისში მედიაში არსებული ვითარება ამ საინიციატივო ჯგუფის წევრმა, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა შეაფასა როგორც უკიდურესად მძიმე და თქვა, რომ არასდროს საჯარო ინფორმაციის მოპოვება ისე რთული არ ყოფილა, როგორც ბოლო დროს.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებული კანონპროექტის საინიციატივო ჯგუფის საკანონმდებლო ინიციატივასთან შეჯერებული ვარიანტი, რომელიც მედიამფლობელების გამჭვირვალობას ეხებოდა, პარლამენტმა საბოლოოდ მხოლოდ 2011 წლის მაისში დაამტკიცა. კანონის თანახმად, ლიცენზიის მფლობელები ვალდებული იყვნენ 2012 წლის 1 იანვრამდე გაესაჯაროებინათ ყველა ფიზიკური პირის სახელი, ვინც რაიმე წილს ფლობს კომპანიაში. აღსანიშნავია, რომ ამ კანონის მიღების შემდეგ მედიასთან დაკავშირებულ სხვა კანონების განხილვას პარლამენტი აღარ მიბრუნებია.

## 26 მაისი – ანგარიშსწორება ჟურნალისტებთან

26-მა მაისმა კი, „სახალხო კრების“ მომხრეების საპროტესტო აქციის დარბევის ღამემ, ყველა სხვა თემა გადაფარა. იმ ღამეს პოლიცია ჟურნალისტების მიმართ განსაკუთრებულად აგრესიული იყო. არაერთ ჟურნალისტს წაართვეს და დაუმტვრიეს ტექნიკა, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ნაწილმა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისა და ტექნიკური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსაც მიმართა.

სასამართლომ მათი მოთხოვნების მხოლოდ ნაწილი დააკმაყოფილა: კონსტანტინე სტალინსკის, თამაზ კუპრეიშვილსა და ნატო გოგელიას აუნაზღაურდებათ ჯანმრთელობის ზიანი – სტალინსკის 12 ლარის, კუპრეიშვილს 30 ლარის, გოგელიას 17 ლარის ოდენობით; გაზეთ „ბათუმელებს“ კი ორივე კამერის დაკარგვით მიყენებული ზარალი - 1940 ლარი და 40 თეთრი. ჟურნალისტები ითხოვდნენ ვიდეოჩანაწერების დაბრუნებასაც, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ამ ფორმით დანაკარგს ვერ აანაზღაურებდნენ.

## „მედიაპალიტრის“ შემოწმება და 2011 წლის პირველი ჟურნალისტური აქცია

7 ივნისს, შუადღისას, „მედიაპალიტრის“ 6 შპს-ში შემოსავლების სამსახურის ერთდროულად გამოჩენამ და 4 კომპანიის საწყობის დალუქვამ მეორე დღეს თბილისში საზოგადოებრივი პროტესტი გამოიწვია. „მედიაპალიტრას“ სოლიდარობა სხვა მედიასაშუალებებმა, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა და ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა გამოუცხადეს.

13 ივნისის ქართული პრესის პირველ გვერდებზე კი მხოლოდ ერთი ფრაზა ეწერა: „სოლიდარობა „მედიაპალიტრას“.

„მედიაპალიტრის“ წარმომადგენლები, ისევე როგორც 8 ივნისს გამართული მხარდამჭერი აქციის მონაწილენი, შემოსავლების სამსახურის მიერ ე.წ. გეგმიურ შემოწმებას ამ მედიასაშუალების მიერ 26 მაისის აქციის დარბევის ობიექტურად გაშუქებას უკავშირებდნენ. შემოსავლების სამსახური კი აცხადებდა, რომ მათ მედიასაშუალებების მუშაობა არ შეუფერხებიათ.

## ფოტოგრაფების საქმე

ფოტოგრაფების საქმე, ალბათ, 2011 წლის ყველაზე ემოციური ამბავია. კითხვაზე, რას გამოყოფდით გასული წლის მედიამოვლენებიდან, ჟურნალისტების უმრავლესობა სწორედ ივლისში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეს ასახელებს. ფოტოგრაფები ორ კვირაში, აღიარებითი ჩვენების შემდეგ, ისე გამოუშვეს ციხიდან, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ არ მოხსნია. საზოგადოებას დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა.

ჟურნალისტები კი, საპროტესტო წარწერებიანი მაისურებითა და სასტვენებით, მთელი ორი კვირის განმავლობაში აწყობდნენ პერმანენტულ აქციებს ხან ციხესთან, ხან პარლამენტთან, ხან პრეზიდენტის რეზიდენციასთან, ხან შსს-სთან და მოითხოვდნენ საქმე გამხდარიყო საჯარო. „არ არის ფოტო – არ არის დემოკრატია“, „თავისუფლება ფოტორეპორტიორებს“ – ეწერა საპროტესტო პლაკატებზე.

საზოგადოებისათვის საჯარო გახდა მხოლოდ ბოლო სასამართლო სხდომა, როდესაც ჯაშუშობაში ბრალდებული ფოტოგრაფები გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე და ირაკლი გედენიძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

## აუქციონი თბილისის ანძის გასაყიდად

აგვისტოში ჟურნალისტები ქუჩაში კიდევ ერთხელ გამოვიდნენ. ამჯერად მათ თბილისის ანძის გაყიდვა გააპროტესტეს. 110 000 ლარად თბილისის ანძა შპს „ალფა კომმა“ 4 წლის ვადით გადაიბარა მმართველობაში და 12 000 000 დოლარის ინვესტიციის ჩადების ვალდებულებაც აიღო. ამ კომპანიაზე ბევრი არაფერია ცნობილი, თუმცა ტელემაუწყებლობათა ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ ანძა ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ჯგუფმა ჩაიგდო ხელში.




## ზეწოლა პრესაზე

შემოდგომაზე მძიმე დღეები უკვე პრესას დაუდგა. მერიის პროექტის –- „1000 ჯიხურის“ – ფარგლებში, ქალაქის ხელისუფლებამ ქალაქში მდგარი პრესის ჯიხურების ადგილებზე გამოაცხადა ონლაინ აუქციონი, რომელშიც პრესის გამავრცელებლების უმეტესობამ მაღალი ფასების გამო მონაწილეობა ვერ მიიღო და წლების განმავლობაში ამ საქმით დაკავებული პრესის გამავრცელებლები გაურკვეველი დროით ჩამოშორდნენ საქმიანობას – „მაცნეს“ თუ „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურების უმრავლესობა მერიის ბრძანებით აიღეს, მათ ადგილზე კი „ნუგეშის“, „კოდას“ და სხვა მსგავსი ფირმების წარმომადგენლებმა მოიპოვეს საკვები პროდუქტის ჯიხურების ჩადგმის უფლება.

ფოტოგრაფების საქმისდროინდელმა ცნობილმა ლოზუნგმა ოდნავ იცვალა სახე – „არ არის გაზეთები – არ არის დემოკრატია“ – და აქციები ჯერ მერიასთნ, შემდეგ პრეზიდენტის სასახლესთან გაიმართა. ჟურნალისტი ელისო ჩაფიძე ასე გამოეხმაურა მომხდარს: „ეს ფოტოგრაფების საქმის გაგრძელებაა. როგორც მაშინ გვსურდა ჩვენი კოლეგები დაგვეცვა, ახლა გვსურს ჩვენი პროფესია დავიცვათ – დავიცვათ გაზეთი, რომელიც ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია დღეს“.

თუმცა მერიამ პოზიცია არ დათმო. ქალაქის ხელისუფლება პასუხად აცხადებდა, რომ ინტერნეტაუქციონის გამოცხადებით მათ ყველა დაინტერესებული პირი თანაბარ პირობებში ჩააყენეს და რომ ახალი ჯიხურების მფლობელებს პრესის გაყიდვას არავინ უკრძალავს.

## „მაესტრო“ - SOS

ნოემბრის ბოლოს ტელეკომპანია „მაესტროს“ მუშაობა მას შემდეგ შეფერხდა, რაც მისი ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილი ტელევიზიის ლობეზე გადაძვრა და შენობაში ისე შეაღწია. ეროსი კიწმარიშვილსა და „მაესტროს“ ერთ-ერთ დამფუძნებელ მამუკა ღლონტს შორის დაპირისპირებას ტელევიზიის რამდენიმე საათით შეჩერება მოჰყვა:

ტელეკომპანია „მაესტრო“ ეთერში დღემდე რადიო „მაესტროს“ ოფისიდან გადის და საგანგებო რეჟიმში მუშაობს. ჟურნალისტები კი შენობაში დაბრუნებას და სათანადო სამუშაო პირობების აღდგენას მოითხოვენ.

## მედიაგაერთიანება

გამოსავლის მოსაძებნად 19 დეკემბერს, მამუკა ღლონტის ინიციატივით, მედიასაშუალებებმა მედიაგაერთიანების შექმნა გადაწყვიტეს, რათა ერთმანეთს თავად დაეხმარონ და საკუთარი თუ სხვა მედიასაშუალებები დაიცვან.

## მონოპოლიზებული სარეკლამო ბაზარი

წლის ბოლოს მედიაში შექმნილ სურათს, შეიძლება ითქვას, ბოლო შტრიხი შემატა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულმა კვლევამ, რომლის დედააზრიც ასეთი იყო: საქართველოს სარეკლამო ბაზარი მონოპოლიზებულია. კვლევის ავტორი მამუკა ანდღულაძე მიუთითებდა, რომ მონოპოლისტი ამ სფეროში რეკლამების გაყიდვის სახლი „ჯენერალ მედიაა“, რომელიც მხოლოდ იმ ტელეარხებთან თანამშრომლობს, რომლებიც ხელისუფლების მომხრეებად ითვლებიან.

ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენები დღემდე გრძელდება. მაგალითად, გრძელდება „მედიაპალიტრის“ შემოწმება, პრესა ტირაჟების შემცირების სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, პარლამენტს განსახილველი აქვს მედიასთან დაკავშირებული არაერთი კანონი, გადასაწყვეტია „მაესტროს“ ბედი. კითხვები დარჩენილია ფოტორეპორტიორების საქმეშიც. ჯერ ცნობილი არ არის შეექმნებათ თუ არა ანძის გაყიდვით პრობლემები კერძო ტელეკომპანიებს.

საინტერესოა, როგორ შეფასდება საქართველო გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში. ეს ანგარიში, როგორც ცნობილია, მსოფლიოში მედიათავისუფლების შეფასებას ისახავს მიზნად და გასულ წელს, 55 ქულით, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალი ქვეყნების სიაში მოხვდა.

**ეკა ქევანიშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### პრეზიდენტ სააკაშვილის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ალაპარაკდა

შევედი თუ არა ნომერში, მაშინვე დამეტაკა... ლამის შემომახია ტანსაცმელი... ისე, მასთან ვინც ერთხელ დაწვება, მეეჭვება, მეორედ კიდევ გაბედოს, თუ ან ხელი შერჩა მთელი, ან ფეხი...

**„ალია“**

### რა უჯდება ბიუჯეტს საახალწლო ღონისძიებები?

უკვე ტრადიციად იქცა საქართველოში მთელი რიგი საახალწლო ღონისძიებების გამართვა და ქუჩების საახალწლოდ მოწყობა. თუმცა რა უჯდება საქართველოს ბიუჯეტს ეს ყოველივე, უცნობია, შესაბამის უწყებებში ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

**„რეზონანსი“.**

### ვანო მერაბიშვილი ინტერნეტით ჩვენს მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს აგროვებს

მერაბიშვილის უწყებამ საკუთარ ვებგვერდზე ცოტა ხნის წინათ ახალი ფუნქცია დაამატა: „გვითხარით, როგორ გემსახუროთ უკეთ“. თუმცა ეს სიახლე სამინისტროს მიერ მასებზე კონტროლის მექანიზმად აღიქმება.

**„ახალი თაობა“**

# საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ



**წარსულისადმი აგდებული დამოკიდებულება უკარგავს ადამიანებს უნარს გააცნობიერონ მიღებული სტრატეგიული გაკვეთილები.**

**ადმირალი ა.თ. მეჰენი**

20 წელი გავიდა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, მაგრამ დღემდე არ წყდება კამათი იმის თაობაზე, როდის და როგორ გახდა საქართველო დამოუკიდებელი.

საზოგადოების ერთ ნაწილს მტკიცედ სჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გახდა. აქედან გამომდინარე, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტს. თურმე, საერთოდ არ იყო საჭირო კარგის მტერება – ამის მიღწევა ხომ ისედაც შეიძლებოდა, მაგალითად, თურქმენეთის მსგავსად. ასეთნაირ ვერსიას ჯიუტად მისდევენ კომპარტიის ყოფილი ფუნქციონერები და ეროვნული მოძრაობის ის წარმომადგენლები, ვისაც არ ერგო დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერის პატივი.

ზოგიერთის ფანტაზია კიდევ უფრო შორს მიდის. თურმე „მრგვალი მაგიდა" საკავშირო სუკმა სპეციალურად მოიყვანა ხელისუფლებაში, რათა გამომჟღავნებულიყო ეროვნული ძალების უუნარობა და გადამწყვეტ მომენტში ძალაუფლება ყოფილ პარტიულ ფუნქციონერებს ჩავარდნოდათ ხელში. გამოდის, რომ საქართველოს უახლესი ისტორია სუკის მიერ დაწერილი სცენარით განვითარდა. არადა, ეს სწორედ ის სუკაა, რომელმაც საკუთარი ზესახელმწიფოს ვერ მოუარა და ხელში შემოეფცქვნა.

განსაკუთრებული პოზიცია აქვს დღევანდელ ხელისუფლებას. იგი თვლის, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ჭეშმარიტი ისტორია დაიწყო მხოლოდ „ვარდების" რევოლუციის შემდეგ. მანამდე კი, იყო „ოდენ ბნელი და უკუნი". ამიტომაა, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, მიაჩქმალოს დამოუკიდებლობის თარიღი და მისი მნიშვნელობა – საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლისთავი გადაწყვიტა 1992 წლის იზეიმოს (ეტყობა, ათვლას გაეროში გაწევრებიდან ახდენს).

ყველა ზემოხსენებულებს ერთი პოზიცია აერთიანებთ – არავითარ შემთხვევაში არ სურთ, აღიარონ „მრგვალი მაგიდის" და პირადად ზვიად გამსახურდიას როლი საქართველოს განთავისუფლებაში. „ზვიად გამსახურდიას განთავისუფლებული საქართველო ჩვენ არ გვინდა" - ეს ფრაზა, როგორც ჩანს, დღესაც აქტუალურია.

მაინც რა იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი? სრულიად ფუჭი აქცია თუ მნიშვნელოვანი თარიღი ჩვენი ერის ისტორიაში? ჩვენმა ხალხმა თავისი ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა თუ სრულიად მოულოდნელად დაეცა თავზე?

შევეცდებით ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი.

## მცირეოდენი ისტორია

ქართლ-კახეთისა და შემდეგ დანარჩენი სამეფო-სამთავროების გაუქმებაზე ქართველთა რეაქცია მეტად მძაფრი იყო. ამას მოწმობს განუწყვეტელი აჯანყებები XIX საუკუნის 60-იან წლებამდე და 1832 წლის შეთქმულება. იმ პერიოდში რუსეთის იმპერიის ორადორი რეგიონი იყო, რომელიც წამდაუწუმ ჯანყდებოდა – პოლონეთი და საქართველო ანუ სწორედ ის ერები, რომელთაც იმპერიაში შემავალ სხვა ერებისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნდათ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ვითარება შეიცვალა. გაჭიანურებულმა კავკასიის ომმა დაარწმუნა პეტერბურგი ქართველთა მხარდაჭერის აუცილებლობაში, აიძულა მეტი სიფაქიზით მოპყრობოდა ჩვენს თავმოყვარეობასა და ეროვნულ ღირებულებებს. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგა.

ქართველ თავადაზნაურობას ფართო გასაქანი მიეცა რუსეთის არმიაში. მათ პრივილეგიებით ფაქტიურად მესამე საპატიო ადგილი უზოძეს მართლმადიდებელი სლავებისა და ოსტზეელი გერმანელების შემდეგ.

40-იან წლებში მოვლენილმა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ყოველმხრივ ხელი შეუწყო ქართული კულტურის განვითარებას – გაიხსნა ეროვნული თეატრი, ქართულ ენაზე გამოიცა ჟურნალ-გაზეთები, მოგვიანებით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საადგილმამულო ბანკი. ეს ფაქტიურად კულტურული ავტონომიის მოპოვებას ნიშნავდა.

ხელი შეეწყო ქართველი ახალგაზრდების სწავლის გაგრძელებას რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში და, რუსეთის გავლით, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

ოღონდ ესაა, ქართველების მიმართ რუსეთის იმპერიული ელიტის ერთგვარი კეთილგანწყობა სრულებითაც არ ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის პატივისცემას. პირიქით, თითქოსდა ქართველთა კვაზიპრივილეგირებას რუსეთის იმპერიაში თან ერთვოდა საქართველოს პოლიტიკური ღირებულების სავალალო დაქვეითება (ტერიტორიის დანაწილება ორ გუბერნიასა და ოლქზე, ქართველობის ჩამოცილება მათი მართვა-გამგეობისაგან, აფხაზთა და მაჰმადიან ქართველთა გასახლება, უცხო ეთნოსთა მრავლობითი და მრავალრიცხოვანი ჩამოსახლება).

რუსეთის პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. ქართველი საზოგადოებისათვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობამ უკანა პლანზე გადაიწია. წინ წამოიწიეს ისეთმა ამოცანებმა, როგორიცაა ევროპული განათლების მიღება, ინტენსიური მეურნეობის მოწყობა, ეროვნული კულტურისათვის ზრუნვა, ცარისტული რუსეთის მხარდაჭერა ტერიტორიების შემომტკიცების საქმეში.

რასაკვირველია, ქართული ტერიტორიების შემომტკიცება სერიოზული ამოცანა იყო, რომელიც მაშინდელი ქართული ელიტის წინაშე იდგა. უმრავლესობამ მიიჩნია, რომ რუსეთის მეშვეობით ამ მიზნის მიღწევა რეალურია. არაპირდაპირ ეს გეორგიევსკის ტრაქტატის გარკვეული მუხლების რეანიმაციასაც ნიშნავდა (ოღონდ არავითარ შემთხვევაში ამ ტრაქტატის სულისკვეთებისას). თუმცა ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა ყველა ეს იმედი გააცამტვერა. მეორეს მხრივ, პირველი მსოფლიო ომის დროს განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გახადა შესაძლებელი.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გაგრძელდა, მაგრამ 1924 წლის აჯანყების შემდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლა კვლავ უკან გადავწიეთ (ტოტალიტარულ სახელმწიფოში, რომელსაც ი.სტალინი მეთაურობდა, ეს ალბათ შეუძლებელიც იყო). საფუძვლიანად ჩაგვეკეტა ევროპისაკენ გასასვლელი გზა. მართალია, მოვიპოვეთ ტერიტორიული ავტონომია (გავხდით მოკავშირე რესპუბლიკა), მაგრამ შიგ ეთნოტერიტორიული წარმონაქმნების შექმნით მოსკოვმა მაქსიმალურად შეგვიზღუდა ისედაც ეფემერული სუვერენიტეტი. საბჭოთა სისტემამ გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენა ქართულ ელიტას და ქვეყანა დიდი ხნით ჩამოაცილა განვითარების მაგისტრალურ ხაზს.

საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარი შანსი გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის დროს. როგორც ქვეყნის გარეთ, ისე მის შიგნით გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც ეს ამოცანა რეალური მოქმედების საგნად აქციეს. საქართველოს საზღვრებს გარეთ ქართველი ემიგრანტების ნაწილმა ეს იმედები ნაცისტურ გერმანიას დაუკავშირა. იმავდროულად, 1942 წელს (კავკასიასთან ბრძოლების დროს) საქართველოს შინსახკომმა სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა ქართველ ახალგაზრდებს (კ.ხიმშიაშვილი, კ.ჯოგლიძე, გ.ძიგვაშვილი და სხვები), რომელთა მიზანიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რეალური ბრძოლა იყო. მაშინდელ მსოფლიოში ძალთა გადანაწილება და ნაცისტური გერმანიისა და მისი სატელიტი ქვეყნების ანტიჰუმანური ხასიათი ამ მიზნის მიღწევას სრულიად შეუძლებელს ხდიდა.

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფომ მთელი ძალისხმევა იქითკენ წარმართა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის იდეაზე საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ელიტარულ ჯგუფებს ერთხელ და სამუდამოდ ეთქვათ უარი. სტალინისშემდგომ პერიოდში ამას ემსახურებოდა ეკონომიკური „თავისუფლება", როცა შესაძლებელი გახდა ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯზე მუქთა ცხოვრება და ამქვეყნიური სიამეებით ტკბობა. საბჭოთა ხელისუფლებამ რასაკვირველია ამ მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა ფაქტია, რომ დამოუკიდებლობისათვის რეალურად მებრძოლთა დროებითი საზოგადოებრივი მარგინალიზაციის ამოცანა მათ წარმატებით გადაჭრეს (ამ მებრძოლთა შორის იყვნენ სწორედ ზ. გამსახურდია და მ.კოსტავა).

ამ მიზეზითაა, რომ როდესაც საქართველოს მომენტი დაუდგა, ქართული ელიტა ვერ აღმოჩნდა მზად, რეალურ პოლიტიკურ საქმედ ექცია საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ნამდვილი დრამა იყო. ვინაიდან ერთია ეროვნულ ღირებულებებზე ლაპარაკი და თუნდაც მათ მიხედვით მოქმედება და სულ სხვაა დამოუკიდებლობისათვის რეალური პოლიტიკური საქმიანობა, ამ მიმართულებით რეალური მოზნების დასახვა.

გავიხსენოთ, 1989 წლის აპრილში ხალხის გამოსვლა იყო რეაქცია აფხაზთა ლიხნის შეკრებაზე და იქ მიღებულ წერილზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა (რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა იმდროინდელ ელიტას არ ეკუთვნოდა) გააცნობიერეს, რომ ხალხის ენერგიის აფხაზების წინააღმდეგ მიმართვა იყო ყარაბაღის მსგავსი ჩიხი (მოსკოვის მიზანიც ალბათ ეს იყო), წამოაყენეს ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა (წერეთელი, ბათიაშვილი) და მიტინგმაც სულ სხვა ხასიათი მიიღო (ამიტომაც დაგვცხეს „ლაფათკები").

1989 წლის 9 აპრილი მნიშვნელოვანი მიჯნა იყო. როგორც იტყვიან, რუბიკონი გადაილახა. აქ გამოჩნდა პირველად, რომ "ახლებურად მოაზროვნე" საბჭოთა ხელისუფლება არაფერს მოერიდებოდა საკუთარი მიზნის მისაღწევად. მართლაც, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „პერესტროიკის" ოთხი წლის თავზე მშვიდობიანი მიტინგის დასაშლელად სამხედრო ნიჩბებსა და მხუთავ გაზს გამოიყენებდნენ. ბოლოს და ბოლოს მიტინგის დაშლა სხვა ხერხითაც შეიძლებოდა. შესაბამისად, ამოცანა მიტინგის დაშლა კი არ იყო, არამედ ქართველი ხალხის თავისუფლების სულის შეხუთვა დემონსტრაციული და ბარბაროსული მკვლელობებით.

**სწორედ „მრგვალმა მაგიდამ" მოახერხა ადეკვატური პასუხი ეპოვა დროის გამოწვევებზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნული ხელისუფლების მტკიცე მოქმედებები დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე (რაც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმსა და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტში განამდვილდა), მოულოდნელი იყო როგორც ქვეყნის გარე ძალებისათვის, ისე ქართული ელიტის უმრავლესობისათვის. დამოუკიდებლობის გამოცხადება არა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობის აქტი იყო, არამედ ერთადერთი სწორი (და სამართლიანი) პასუხიც გორბაჩოვისეულ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. ეს იყო ურთულესი ისტორიული პროცესის დასასრული და იმისათვის, რომ ადეკვატური შეფასება მივცეთ ეროვნული ხელისუფლების საქმიანობას, საჭიროა, სწორად გავიაზროთ იმდროინდელი ვითარება, რომელიც უაღრესად რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების შემცველი იყო.**

## „პერესტროიკა

იწყებდა რა გარდაქმნის პროცესს საბჭოთა ხელმძღვანელობას სინამდვილეში ორი მიზანი ჰქონდა – ეკონომიკის ლიბერალიზაცია და პოლიტიკური ელიტის შეცვლა.

80-იანი წლების პირველ ნახევარში ცხადი გახდა, რომ საბჭოთა ეკონომიკა ლიბერალიზაციის გარეშე უბრალოდ აღარ მუშაობდა. რეფორმების გატარება გადაუდებელ სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცა.

ეკონომიკური რეფორმის განხორციელება პირდაპირ იყო დაკავშირებული მეორე, ძალზედ მტკივნეულ პროცესთან – ელიტის შეცვლასთან. ვინაიდან ის ელიტა, რომელიც 1984 წლისთვის მართავდა მსოფლიოს ერთ მეექვსედს, რა თქმა უნდა, არაფრის ჩამტარებელი არ იყო.

გორბაჩოვი და მისი მომხრეები ცდილობდნენ, გამოეყენებინათ უნიკალური შანსი. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის რიგებში იყო ათ მილიონ ადამიანზე მეტი, სადაც ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანი იყო გაწევრებული. ეს კი იძლეოდა შესაძლებლობას ელიტათა ცვლა შიდაპარტიული გადანაცვლებით ჩატარებულიყო. თანაც, ავადმოსაგონარი პარტიული წმენდებისაგან განსხვავებით, ამგვარი ცვლილებები ყველაზე უმტკივნეულოდ მოხდებოდა შიდაპარტიული ღია დისკუსიის გზით, ვინაიდან სტალინის იდეური მემკვიდრენი დისკუსიებში მაინცდამაინც ძლიერები არ იყვნენ.

მიუხედავად მთელი ამ ცვლილებების რევოლუციურობისა, საბჭოთა კავშირის ახალი ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ იგი თავს გაართმევდა ამ ამოცანას. შესაბამისი მიმზიდველი სახელიც შერჩეული იქნა - გარდაქმნა და საჯაროობა. იმთავითვე ცხადი იყო ისიც, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა მეცნიერულ-ტექნიკური და ჰუმანიტარული განათლების მქონე აქტიურ ადამიანებს, რომელთაც საკუთარი აზრები გააჩნდათ (გავიხსენოთ, რომ 20-იანი წლებიდან მოყოლებული, უმაღლეს პარტიულ ელიტას ჩვეულებრივი გაგებით უმაღლესი განათლება საერთოდ არ გააჩნდა). ეს ნიშნავდა პარტიული ელიტის მოქმედების სტილის შეცვლას და ბევრ ისეთ რამეს, რაც საბჭოთა სისტემას საერთოდ არ ენახა ან აღარ ახსოვდათ.

უნდა ითქვას, რომ გარდაქმნის მიერ ელიტაში გაწვეულმა ადამიანებმა მაშინვე იგრძნეს, რომ საქმე ეხებოდა ძალაუფლებას (დედამიწის ერთ მეექვსედზე!). თანაც, მისი ხელში ჩაგდება შეიძლებოდა ლიბერალისა და ლიბერალიზმის სახელით. დაიწყო ის, რაც დაიწყო... თუმცა ამ პროცესს ერთი მოულოდნელი გარემოება ახლდა თან. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების უფლებებზე რეალური საუბარი არავის სურდა. უფრო ზუსტად, ამ საკითხის სერიოზულ განხილვას თავს არიდებდნენ. აზრის თავისუფლება რომ პოლიტიკურ თავისუფლებასაც გულისხმობს, პოლიტიკური თავისუფლება კი, კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას, ამაზე დასაწყისში არავინ ფიქრობდა. უფრო მეტიც, პოლიტიკური სუბიექტების მიერ ეკონომიკური თავისუფლების მოპოვებაც კი რაღაც მიუღწეველ ამოცანად რჩებოდა.

**გურამ სანადირაძე,**
**ნიკოლოზ სანებლიძე**

(გაგრძელება იქნება)

# აფხაზები კრემლს ძალიან ოლიმპიადამდე მოსკოვი მკვეთრი

**გასული წელი აფხაზეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში არსებული ბზარის გაფართოება, რომელიც უკვე საკმაოდ ნათლად ჩანს. წლის განმავლობაში აფხაზეთში განვითარებული მოვლენების მოკლე მიმოხილვის მიზნით „პირველი" ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სოხუმის უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეს, გიორგი შარვაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატ ზურაბ პაპასქირს ესაუბრა.**



**— გასულ წელს აფხაზეთისთვის მნიშვნელოვან მოვლენათაგან განსაკუთრებით რომელს გამოყოფდით?**

— 2011 წელი აფხაზეთისთვის სიახლეების თვალსაზრისით დახუნძლული აღმოჩნდა და უპირველესად — პოლიტიკური თვალსაზრისით. ამასთან, თითოეული ის მოვლენა, რომელსაც აფხაზეთში ვნებათაღელვა მოჰყვა, საკმაოდ მწვავე რუსულ-აფხაზური დაპირისპირების ფონზე ვითარდებოდა. როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ XIX საუკუნის 70-იან წლებში საბოლოოდ გატეხა თითქმის 70 წლიანი „აფხაზური წინააღმდეგობა", ნაწილი მუჰაჯირობაში „გაამგზავრა", ხოლო დარჩენილები „დამნაშავე ხალხის" (ბარლოყით) „შეამკო", რუსეთს აფხაზების მხრიდან არავითარი პრობლემა არ შექმნია. უფრო მეტიც, დაწყებული 1906 წლიდან, როდესაც ნიკოლოზ II-ს ხელისუფლებამ აფხაზებს „დამნაშავე ხალხის" სტატუსი მოუხსნა, ისინი იმპერიის ერთგულ მონებად იქცნენ და მთელი XX ს. მანძილზე ერთგულად იდგნენ რუსეთის (როგორც ცარისტული, ისე ბოლშევიკური) სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. და აი, წლეულს (ასი წლის შემდეგ) პირველად გაჩნდა სერიოზული ბზარი რუსულ-აფხაზურ „შეხმატკბილებულ" ურთიერთობებში. თუმცა სრული ჰარმონია არც მანამდე ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტები 1992-1993 წლების „სამამულო ომში" „გამარჯვების" შემდეგ ძლიერ ემადლიერებოდნენ ამ „გამარჯვების" ჭეშმარიტ „შემოქმედს" — „მოძმე" რუსეთს, დროდადრო მათში გარკვეული წყენა მაინც იჩენდა თავს. კერძოდ, ისინი ვერ პატიობდნენ ბორის ელცინის მთავრობას იმას, რომ მან ხელი მოაწერა დსთ-ის ქვეყნების 1996 წლის 19 იანვრის ცნობილ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, აფხაზეთს ოფიციალურად ემბარგო დაუწესდა. ამით, სეპარატისტების მტკიცებით, აფხაზი ხალხი ჰუმანიტარული კატასტროფისთვის გაწირეს. მართალია, ეს გადაწყვეტილება კრემლს რეალურად არასოდეს შეუსრულებია და ემბარგო, ფაქტობრივად, არც განხორციელებულა, მაგრამ აფხაზებს დღემდე მოჰყვებათ მაშინდელი წყენა. დროთა განმავლობაში მოსკოვმა სხვადასხვა მეთოდებით მაინც მოახერხა „რეაბილიტაცია" აფხაზთა თვალში. ამ მიმართულებით სერიოზულ „გარღვევას" წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის რუსეთის მოქალაქეობის „ბოძება", რომელსაც გარკვეული სოციალური პრივილეგიებიც მოჰყვა (რუსული პენსიები და ა.შ.), მაგრამ შემდეგ იყო 2004 წლის ე.წ. „საპრეზიდენტო" არჩევნები, რომელშიც რუსეთის ხელისუფლება უხეშად ჩაერია. მაშინ, როგორც ცნობილია, რაულ ხაჯიმბამ, რომელსაც ვლადიმერ პუტინმა ღიად დაუჭირა მხარი, მარცხი განიცადა. მაგრამ დამარცხებული კანდიდატი არ თმობდა პოზიციებს, რასაც გამარჯვებული კანდიდატის სერგეი ბაღაფშის მომხრეთა რუსეთზე გაღიზიანება და ვითარების უკიდურესად გამწვავება მოჰყვა. ფაქტობრივად, აფხაზეთი სამოქალაქო ომის ზღვარზე აღმოჩნდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ სერგეი ბაღაფშის მომხრეებმა იერიში პრეზიდენტის „რეზიდენციაზე" მიიტანეს. ორმხრივი სროლის დროს ბრმა ტყვიამ XX ს. 60-იანი წლების აფხაზური „ეროვნულ-განმათავისუფლებელი" მოძრაობის აღიარებული ლიდერი, 80 წელს მიტანებული ქალბატონი თამარ შაყრილი იმსხვერპლა. შეიქმნა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვის რეალური საშიშროება. ასეთ ვითარებაში კრემლმა „ჩათრევას ჩაყოლა" ამჯობინა და ბაღაფშის პირველკაცობას შეურიგდა, ამ უკანასკნელმა კი სრული ლოიალობით უპასუხა. უფრო მეტიც, 2008 წლის აგვისტოს ავანტიურისა და მოსკოვის მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად აღიარების შემდეგ „მადლიერი" ბაღაფში საერთოდ მედვედევ-პუტინის მორჩილ ყმად იქცა, რომელიც ხშირად შესაშური მონდომებით ახმოვანებდა კრემლის იმპერიულ საგარეო-პოლიტიკურ „დოქტრინებსაც" კი. და აი, ამ მოჩვენებითი სიამტკბილობის ფონზე პირველი წინააღმდეგობები გაჩნდა, რომლებმაც კრიტიკულ ზღვარს სწორედ მიმდინარე 2011 წელს მიაღწია.

**— მაინც რით დაიწყო ყოველივე ეს?**

— პირველი პრობლემა, რომელმაც ჯერ კიდევ 2009 წელს იჩინა თავი და სერიოზული ვნებათაღელვა უკვე 2010 წელს გამოიწვია, საკუთრების საკითხები იყო. როგორც ცნობილია, 1992-1993 წლების ძმათამკვლელი ომის შემდეგ „გამარჯვებულმა" სეპარატისტებმა არა მარტო განდევნილ ქართველთა ბინები და კარმიდამოები დაიტაცეს, არამედ რუსების, სომხებისა და ა.შ. უძრავ ქონებასაც სრულიად უკანონოდ დაეპატრონენ. სამხედრო დაპირისპირების დასრულებიდან მთელი 15 წლის განმავლობაში დაზარალებულნი ვერ ბედავდნენ აფხაზეთში ჩასვლას (იქ არსებული განუკითხაობის გამო) და კუთვნილი ქონების დაბრუნებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც 2008 წელს მოსკოვმა აფხაზეთი „სუვერენულ" სახელმწიფოდ „აღიარა", ამ ადამიანებმა იმის იმედით, რომ „მშობლიური" რუსეთი აუცილებლად მათ ინტერესებს დაიცავდა, აფხაზეთს მიაშურეს და თავიანთი ბინები და სახლები მოითხოვეს. აი, აქ კი დაიწყო მწვავე დაპირისპირება. იყო უშედეგო სასამართლო პროცესები. ყოველივე ამას მოჰყვა მწვავე პუბლიკაციები წამყვან რუსულ გაზეთებში (მარინა პერევოზკინას — „Московский комсомолец"-ში, № 25434, 27.09.2010, ვლადიმირ ვორსობინის — „Комсомольская Правда"-ში, 7.09.2010). ამ ფონზე ცალკეული რუსი „ექსპერტები" (სხვათა შორის, საქართველოსადმი გამოკვეთილად მტრულად განწყობილები) ანდრეი ეპიფანცევი, მოდესტ კოლეროვი, დიმიტრი როდიონოვი, ალექსანდრე როსლიაკოვი და სხვები უფრო შორს წავიდნენ და აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე უკვე ახალი „მამხილებელი მასალები" გამოაქვეყნეს. მათ ღიად დაადანაშაულეს სეპარატისტული რეჟიმი და აფხაზური საზოგადოება ეთნოკრატიის დამყარებასა და რუსებისა და რუსეთის სახელმწიფოს აბუჩად აგდებაში. ამას მოჰყვა მყისიერი რეაქცია ნაციონალისტურად განწყობილი აფხაზი პოლიტიკოსებისა (რაულ ხაჯიმბა) და ექსპერტების (თემურ აჩუგბა, ანატოლი ოტირბა და სხვები) მხრიდან. საქმეში ჩაერია რუსეთის „საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი" აფხაზეთში სერგეი გრიგორიევი, რომელმაც ერთგვარი „ნოტებითაც" კი მიმართა აფხაზეთის „პრეზიდენტ" ბაღაფშსა და „პრემიერ-მინისტრ" ანქვაბს. უფრო მეტიც, შეიქმნა სპეციალური „ერთობლივი რუსულ-აფხაზური კომისია აფხაზეთის რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების აღდგენის საკითხებზე" („Совместная росиисско-абхазская комиссия по вопросам восстановления имущественных прав граждан Российской Федерации в Республике Абхазия"), მაგრამ პრობლემა მაინც ვერ მოიხსნა. საქმეს ვერ უშველა უშუალოდ სერგეი ლავროვის ჩარევამაც. „ბატალიები" საბინაო საკითხებთან დაკავშირებით გრძელდებოდა მთელი 2011 წლის მანძილზე. ამ „ბატალიებმა" ნათლად აჩვენა, რომ ჩვენი აფხაზი თანამოძმენი, სამწუხაროდ, არ არიან მზად, იცხოვრონ სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრინციპებით. როგორც ჩანს, სწორედ ამან აიძულა ერთ-ერთი ღირსეული აფხაზი — არტურ მიქვაბია (თავის დროზე, 2004 წელს სერგეი ბაღაფშის „საპრეზიდენტო" კამპანიის მთავარი იდეოლოგი), სინანულით ეღიარებინა, რომ „აფხაზური საზოგადოების მასობრივ ცნობიერებაში დამკვიდრებულია ნადავლის მაძიებელთა მაროდიორული ფსიქოლოგია („Мародерски-трофейная психология"), რომლის კონცენტრირებულ გაგრძელებას ხელისუფლების მუქთახორული პოლიტიკა („иждивенческая политика власти") წარმოადგენს".

**— დავა მხოლოდ კერძო საკუთრებას ეხებოდა თუ სხვა ობიექტებიც მოიცვა?**

— დაპირისპირების მიზეზი იმთავითვე ე.წ. „საკავშირო დაქვემდებარების სამთავრობო დასასვენებელი ობიექტებიც" გახდა. ჯერ კიდევ 2010 წლის 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა გასცა განკარგულება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო დაცვის ფედერალურ სამსახურს ავალებდა, აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმება დაედოთ იქ განთავსებული 3 ობიექტის — მიუსერის ნაკრძალში (გუდაუთის რ-ნი) არსებული საკურორტო კომპლექს „მიუსერის" (ე.წ. „იოსებ სტალინის აგარაკის", „მიხეილ გორბაჩოვის აგარაკის", ყოფილი „სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს დასასვენებელი სახლის", ე.წ. „კრემლიოვკის"), საკურორტო კომპლექს „ბიჭვინთის" (ე.წ. „ნიკიტა ხრუშჩოვის აგარაკის") და გაგრაში არსებული ე.წ. „ლავრენტი ბერიას სააგარაკო კომპლექსის" რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამ ფაქტს მოჰყვა უმწვავესი რეაქცია არა მხოლოდ ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან, არამედ „სახელისუფლებო" წრეებთან დაახლოებული პირებისგანაც. შემდეგ ნამდვილი „აზბოხი" გამოიწვია კონფლიქტმა სოხუმში განთავსებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სანატორიუმ „სოხუმის" ირგვლივ, რომელმაც 2011 წლის აპრილში იფეთქა. რუსულმა მხარემ ადგილობრივი ხელისუფლების სრული იგნორირებით სანატორიუმის გასხვისება მოინდომა და თვალის ასახვევად ის „რემონტზე დაკეტა". ამას მომსახურე პერსონალმა აქციებით უპასუხა. კვლავ წინ წამოიწია საკუთრების საკითხმა, რამაც პრობლემა პოლიტიკურ ჭრილში მოაქცია. კრიზისის დასარეგულირებლად თვით რუსეთის თავდაცვის მინისტრის ანატოლი სერდიუკოვის სოხუმში საგანგებოდ ჩასვლაც კი გახდა საჭირო. მართალია, სიტუაცია რამდენადმე განიმუხტა, მაგრამ მთავარი — საკუთრების პრობლემა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მოგვარებული. საერთოდ, აფხაზებს ძალზე ეშინიათ (და მათი ეს შიში სულაც არ არის საფუძველს მოკლებული), რომ რუსული კაპიტალი ხელში ჩაიგდებს „მათ" ბუნებრივ სიმდიდრეებს და ამ გზით უბრალოდ „ჩაყლაპავს" აფხაზეთს. ამიტომაც ხვდებიან ისინი „ხიშტებით" რუსული ბიზნესსტრუქტურების ნებისმიერ მცდელობას, საკუთრებაში შეიძინონ ცალკეული ობიექტები. სწორედ ეს ვერ ჯდება თანამედროვე ცივილიზებული ცხოვრების ნორმებში. სწორედ ამან განარისხა მანამდე სეპარატისტების დიდ „დამცველებად" მიჩნეული რუსი „ექსპერტები" და ათქმევინა მათ, „რუსეთს, რომლის მთლიან კმაყოფაზეც არის აფხაზეთი („содержащая с потрохами Абхазию"), სრული უფლება აქვს, იმედი ჰქონდეს („рассчитывать") შემხვედრი ნაბიჯების, გარკვეული რევერანსებისთავის სასარგებლოდ... მაგრამ, თუ რომელიღაც ეტაპზე ნათელი გახდება, რომ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის შეწყვეტის შედეგად, მაშინ ამაზეც უნდა წავიდეს". როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. და, რა გასაკვირია, ამის შემდეგ ამ სიტყვების ავტორი — ქართველთმოძულე ანდრეი ეპიფანცევი — სეპარატისტებმა აფხაზი ხალხის №1 მტრად გამოაცხადეს. სწორედ ამისთანა პუბლიკაციებმა, რომელთა მსგავსიც არაერთი იყო 2011 წელსაც, გამოიწვიეს ნაციონალისტურად განწყობილ აფხაზ მოღვაწეთა (და არა მხოლოდ ოპოზიციური წრეებიდან) მკვეთრად გამოხატული ანტირუსული რიტორიკა. დიახ, ფაქტობრივად პირველად (ბოლო ასი წლის განმავლობაში), აფხაზეთში გაჩნდა ანტირუსული რიტორიკა, რომელმაც, შეიძლება, ითქვას, კრიტიკულ ზღვარს სწორედ 2011 წელს მიაღწია.

**— გარდა საკუთრების პრობლემებისა, კიდევ რა მოვლენებმა დაძაბა რუსულ-აფხაზური ურთიერთობები 2011 წელს?**

— არანაკლები ხმაური გამოიწვია რუსეთის ფედერაციის საკონტროლო პალატის თავმჯდომარის სერგეი სტეპაშინის მიერ ჩატარებულმა „ინსპექციამ". მთავარი რუსი „რევიზორის" ჯგუფმა აფხაზეთში ოფიციალურად დააფიქსირა რუსეთის მთავრობის მიერ აფხაზეთისთვის გამოყოფილი თანხების — 347 მილიონი რუბლის გაფლანგვა. მართალია, სტეპაშინმა დატუქსა აფხაზეთის ხელისუფლება, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხის დასმას მოერიდა, ბაღაფშსა და მის მთავრობას „დიდსულოვნად" ხელი გადააფარა და ყველაფერი არასწორ აღრიცხვიანობას გადააბრალა, რომლის გამოსწორებისკენაც მოუწოდა შესაბამის აფხაზურ სტრუქტურებს. თან ყოველივე ეს გააკეთა ოპოზიციურ სპექტრზე თავხედური და გამომწვევი „გადავლის" ფონზე, რამაც აფხაზური საზოგადოების სავსებით სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. კომენტატორთა აღიარებით, სტეპაშინის „ინდულგენციებმა" გააძლიერა ანტირუსული განწყობილებები აფხაზეთში. ცალკეულმა პოლიტიკოსებმა (რ. ხაჯიმბამ და სხვ.) მას დაუწუნეს პოლიტკორექტულობა და ის აფხაზეთის შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში უხეშ ჩარევაში დაადანაშაულეს. უფრო მეტიც, რუსი მაღალჩინოსანი — ერთ დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი — ფრიად არასასურველი, შეურაცხმყოფელი ეპითეტებითაც კი შეამკეს. მას ღიად არც მეტი, არც ნაკლები, „პოლიტიკური ინტრიგანი", „შანტაჟისტი" და „მეხანძრე" (ეს — იმის გამო, რომ თავის დროზე — 1986 წელს თურმე, მას დაუცავს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „პარტიული ხელმძღვანელობა ლენინგრადის ხანძარსაწინააღმდეგო ფორმირებებზე დიდი სამამულო ომის წლებში") უწოდეს. ამ შეფასებების ავტორს, ერთ-ერთი ნაციონალისტური პარტიის ლიდერს, იურისტ იაკუბ ლაკობას (სხვათა შორის, ჩემს ძველ მეგობარს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან) საერთოდ მიაჩნია, რომ ყველა ეს „ეპიფანცევები, კურაევები, ... „სტეპაშინები" აფხაზეთისთვის მეტად „საშიშ, ძირგამომთხრელ თამაშს ეწევიან". ამ განცხადების გამო აფხაზეთის „გენერალურმა პროკურატურამ" სისხლის სამართლის საქმეც კი აღძრა ი. ლაკობას წინააღმდეგ და დააკავა, მაგრამ აზვირთებულმა სახალხო პროტესტმა აიძულა ხელისუფლება, უკან დაეხია და ლაკობა გაეთავისუფლებინა.

**— რას წარმოადგენს კურაევი და რატომ მიაჩნიათ ეს პიროვნება აფხაზებს მიუღებლად?**

— ანდრეი კურაევი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ცნობილი მოღვაწეა. მართალია, მას მხოლოდ მთავარდიაკვნის ხარისხი აქვს, მაგრამ ითვლება განათლებულ თეოლოგად (არის მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი, ამავე დროს თანამშრომლობს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, დიდი პატივით აირჩიეს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორადაც) და სარგებლობს ავტორიტეტით საეკლესიო წრეებში. მას განსაკუთრებული ახლობლობა აკავშირებდა აწ განსვენებულ პატრიარქ ალექსისთან. სწორედ პატრიარქ ალექსის ზეობის დროს, ჯერ კიდევ 2008 წელს მან წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა, რომლის კანონიკურ უფლებებს აფხაზეთზე აღიარებს მოსკოვის საპატრიარქო, დროებით (სანამ არ მოხდება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება და საქართველოს საპატრიარქოს არ შეეძლება იქ ღვთისმსახურებაძ მმართველობაში გადასცეს აფხაზეთი რუსეთის ეკლესიას. ამ ვერაგულ გეგმას ის ასაბუთებდა აფხაზეთში ქრისტიანული რწმენის მორყევისა და ისლამის ფაქტორის შემდგომი გაძლიერების საშიშროებით. რა საკვირველია, ეს შემოთავაზება საქართველოს საპატრიარქოს სერიოზულად არ მიუღია, მაგრამ მას აფხაზეთშიც დიდი ეჭვებით შეხვდნენ და ამის შემდეგ აითვალწუნეს კიდეც აფხაზეთზე ასე ეგზომ „შეყვარებული" რუსი თეოლოგი. იმავე ი. ლაკობამ მას „ეპიფანცევი ანაფორაში" და „პოლიტიკური პროვოკატორი საეკლესიო მაფიიდან" უწოდა. რაც მთავარია, ამ ფაქტმა დამატებითი მუხტი შეიტანა აფხაზურ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობების გაღვივებაში.

**— მაგრამ რუსულ-აფხაზური საეკლესიო პრობლემები ამით არ ამოწურულა. აფხაზ მღვდელმსახურთა ერთი ჯგუფი, როგორც ცნობილია, ღიად დაუპირისპირდა აფხაზეთის ეკლესიის თვითმარქვია „მეთაურს" ბესარიონ აფლიას, რომელიც რუსეთის საპატრიარქოს სრული მხარდაჭერით სარგებლობს, ამან კი სერიოზულად გაამწვავა რუსულ-აფხაზური ურთიერთობები საეკლესიო სფეროში. რას იტყვით ამის თაობაზე?**

— რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებში 2011 წელს, ერთი შეხედვით, მოულოდნელად ახალი „ფრონტის ხაზი" გაიხსნა. როგორც ცნობილია, მამა ბესარიონს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდა მღვდელ-მონაზვნები დოროფეი დბარი და ანდრია ამპარი ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში აუმხედრდნენ, მაგრამ მაშინ რუსეთის ეკლესიის მესვეურებმა ვითარების განმუხტვა მოახერხეს. 2011 წლის გაზაფხულზე კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა. ამის მიზეზი გახდა „მეამბოხე" ანდრია ამპარისა და მისი გუნდის მკვეთრად გამოხატული ანტირუსული დემარში. ისინი წინ აღუდგნენ მოსკოვის საპატრიარქოს სანქციით ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრად რუსი მღვდელმსახურის ეფრემ ვინოგრადოვის მოვლინებას, რომელმაც თან ჩამოიყვანა რუსი ბერების ჯგუფი და მათთან ერთად დემონსტრაციულად შეუდგა რუსული წესების დამკვიდრებას მონასტერში. ამპარის ჯგუფმა ეს ტრადიციული „აფხაზური" წესების ხელყოფად მიიჩნია და ვითომ „პატრიოტული" მოტივებით ღიად დაიწყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იმპერიულ ზრახვებზე საუბარი. კრიზისმა პიკს მიაღწია მას შემდეგ, რაც საბერძნეთიდან აფხაზეთში არქიმანდრიტის რანგში ჩამოვიდა მღვდელ-მონაზონი დოროფეი დბარი (აღნიშნული წოდება 2011 წ. 21 აპრილს მას ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის გუმენისის, აქსიუპოლეოსისა და პოლიკასტრის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მიანიჭაძ. ამიერიდან მან, როგორც აფხაზთაგან ყველაზე მაღალი სასულიერო წოდების მატარებელმა, თავი ეპისკოპოსობის კანდიდატად გამოაცხადა და სათავეში ჩაუდგა ე.წ. „ავტოკეფალისტურ მოძრაობას" აფხაზეთში. 2011 წ. 15 მაისს მღვდელ-მონაზონ დოროფეის ხელმძღვანელობით ახალ ათონში ჩატარდა ე.წ. „საეკლესიო-სახალხო კრება", რომელმაც ოფიციალურად გამოაცხადა „აფხაზეთის წმიდა სამიტროპოლიტოს შექმნა" ოფიციალური რეზიდენციით ანაკოფია-ახალ ათონში (ბესარიონ აფლიას ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის" რეზიდენციად სოხუმის საკათედრო ტაძარი ითვლებაძ. აირჩა

# გაუთამამდნენ, თუმცა 2014 წლის ნაბიჯების გადადგმას მოერიდება

„აფხაზეთის სამიტროპოლიტოს საბჭო“, რომელშიც სასულიერო პირთა გარდა შეიყვანეს საერო პირებიც, მათ შორის – აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორებიც არიან ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა და მწერალი დენის ჩაჩხალია. აღსანიშნავია, რომ ახალ ათონში ჩატარებული „საეკლესიო-სახალხო კრების“ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ და იქ მიღებულ გადაწყვეტილებებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ნაციონალისტურად განწყობილი აფხაზური პოლიტიკური სექტორის ცნობილმა წარმომადგენლებმა, როგორც არსებული რეჟიმის მომხრე („პარლამენტის“ ვიცე-სპიკერი ირინე აგრბა, დეპუტატი ბათალ კობახია და სხვ.ძ, ისე ოპოზიციური (რაულ ხაჯიმბა, იაკუბ ლაკობა და სხვ.ძ ძალებიდან.

ყოველივე ეს მიმდინარეობდა მოსკოვის საპატრიარქოსთან და აფხაზეთში მის პრაქტიკულად – ე.წ. „დამოუკიდებელი აფხაზეთის ეკლესიის წინამძღოლ“ ბესარიონ აფლიასთან მწვავე კონფრონტაციის ფონზე. პრორუსულმა ძალებმა ბესარიონ აფლიას მეთაურობით ასამბლეაში ჩართვით რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურები. შედეგად მაიკოპისა და ადიღეს ეპისკოპოსმა ტიხონმა (სწორედ ამ ეპარქიაში მოხდა თავის დროზე დოროფეი დბარისა და ანდრია ამპარის ხელდასხმაძ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც დბარსა და ამპარს ერთი წლის ვადით აეკრძალათ მღვდელმსახურება, ხოლო ახალი ათონის „საეკლესიო-სახალხო კრება“, არც მეტი, არც ნაკლები, „сборище“-დ გამოცხადდა. ამით განაწყენებულმა მღვდელ-მონაზვნებმა საპროტესტო წერილით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს. უფრო მეტიც, განდგომილი მღვდელმსახურები ჩავიდნენ მოსკოვში, სადაც ისინი მიიღო საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკალამის მიტროპოლიტმა ილარიონმა. კონკრეტული შინაარსი ამ შეხვედრაზე განხილული საკითხებისა უცნობია, თუმცა ერთი რამ გაცხადდა – მოსკოვის საპატრიაქომ კატეგორიულად დაგმო და უდიდეს ცოდვად მიიჩნია აფხაზეთში მომხდარი საეკლესიო განხეთქილება, რაშიც ფაქტობრივად „ამბოხებული“ მღვდელმსახურნი დაადანაშაულა. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა ამგვარმა პოზიციამ, ცხადია, „განდგომილი“ აფხაზი მღვდელმსახურების უკმაყოფილება გამოიწვია. დოროფეი დბარმა ისიც კი არ გამორიცხა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის საპატრიარქო განკვეთდა მათ და ჩამოართმევდა სასულიერო წოდებას, ის და მისი თანაგუნდელები საერთოდ გაწყვეტდნენ კავშირს რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებამ და წინასაარჩევნო კამპანიამ საეკლესიო საკითხები დროებით უკანა პლანზე გადასწია და ამჟამად, ალექსანდრე ანქვაბის სეპარატისტული რეჟიმის სათავეში მოსვლის შემდეგ კონფლიქტი თითქოს რამდენადმე ჩაცხრა, მაგრამ ყოველივე ეს მოჩვენებითია და არავინ იცის, როდის „აფეთქდება ბომბი“. ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა. 2011 წლის მიწურულს ჯერ თითქოს ბესარიონ აფლიამ მოახერხა დარტყმის მიყენება „განდგომილ“ ჯგუფზე – საბერძნეთიდან ჩამოვიდა და მას პირადად ეახლა „ელადის მართლმადიდებელი ეკლესიის“ სინოდის წარმომადგენელი, მეუფე პროკოპი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ვიზიტი ერთგვარი საპასუხო ნაბიჯია თვითმარქვია „აფხაზეთის ეპარქიის“ ხელმძღვანელის ბესარიონ აფლიასა და პრორუსულად განწყობილ აფხაზ პოლიტიკოსთა (სერგეი შამბაძ მხრიდან და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგე ბანაკის – დოროფეი დბარის დაჯგუფებისა და ბერძნულ საეკლესიო წრეებს შორის არსებული ურთიერთობების მოშლას. ყოველივე ამის უკან კი, ეტყობა, მოსკოვის საპატრიარქო დგას (ნიშანდობლივია, რომ ელადიდან ჩამოსულ სტუმარს სასულიერო განათლება რუსეთში აქვს მიღებული და რუსულიც კარგად იცისძ. დბარ-ამპარის ჯგუფმა უპასუხოდ არ დატოვა აფლიას ეს გამოხდომა და ამჯერად ახლადარჩეული „პრეზიდენტის“ ალექსანდრე ანქვაბის (რომელიც, როგორ ჩანს, უკვე ღიად მფარველობს „აფხაზეთის წმიდა სამიტროპოლიტოს“ მესვეურებსძ მეშვეობით ერთგვარი რევანში აიღო. ანქვაბმა რუსეთის პრეზიდენტის „მარჯვენა ხელი“, უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი ჩაიყვანა ახალ ათონში და ამპარს შეახვედრა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა სრულიად ნათელია, რომ იმან, რაც მოხდა საეკლესიო სფეროში, სერიოზულად გააღიზიანა აფხაზური საზოგადოება და კიდევ უფრო გააღვივა აფხაზეთში ანტიმოსკოვური განწყობილებები.

**— რადგან ახალი „პრეზიდენტი“ ვახსენეთ, ორიოდე სიტყვა იქ ჩატარებულ „საპრეზიდენტო არჩევნებზეც“ ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაამართლა რუსეთის იმედები ამ „არჩევნებმა“ და რა სიახლეს შეიტანს ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში? ცნობილია, რომ ის წინასაარჩევნო კამპანიის დროს დაჰპირდა გალის მოსახლეობას, რომ აღკვეთდა კრიმინალს რაიონში...**

— თავიდან შეიძლება იმის იმპრესია, რომ 2011 წლის გადამდგომა „საპრეზიდენტო არჩევნებმა“ ნამდვილად ვერ ჩაიარა რუსული სცენარით. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მოულოდნელი იყო კრემლისთვის სერგეი ბაღაფშის უეცარი გარდაცვალება, რამაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. აფხაზურ საზოგადოებაში არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ბაღაფშის გარდაცვალება არ იყო შემთხვევითი და რომ გარკვეულმა ძალებმა მოსკოვში ამაზე „იზრუნეს“. მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა დაპირებებისა, რომ მოსკოვი არჩევნებში არ ჩაერეოდა, სრულიად აშკარაა, რომ კრემლმა „ფსონი“ ერთმნიშნად სერგეი შამბაზე დადო. ეს ნათლად გამოჩნდა თუნდაც ბაღაფშის დაკრძალვის დღეს პუტინისა და შამბას შეხვედრისას. ამ უკანასკნელმა ერთ-ერთ რუსულ სატელევიზიო არხს „ვესტის“, თუ როგორ „წამოცდა“ რუსეთის „ნაციონალურ ლიდერს“ საუბრისას „საპრეზიდენტო“ არჩევნების თემა და დაინტერესდა, შეძლებდა თუ არა ის ანქვაბთან „მორიგებას“ (ნიშანდობლივია, რომ ამ თემის ზონდირება ვ. პუტინის ანქვაბთან შეხვედრის დროს არ ყოფილა), შამბამ ის უმალ „დაამშვიდა“ და მეტად თავდაჯერებულად აუწყა რუსეთის პრემიერს, რომ ანქვაბი მისი მეგობარია და რომ მათ შორის გამორიცხულია რაიმე დაპირისპირება, მაგრამ როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ აჩვენა, ეს იყო სიცრუე მოქმედი „პრემიერ-მინისტრის“ მხრიდან. მას სულ მალე დაავიწყდა თავისი განცხადება და მიუხედავად „საპრეზიდენტო“ კანდიდატებს შორის დადებული „ჯენტლმენური“ შეთანხმებისა, აშკარად მოსკოვის მიწოდებითა და „ინფორმაციული უზრუნველყოფით“, ბინძური პიარკამპანია წამოიწყო თავისი „ძველი მეგობრი“ ანქვაბის წინააღმდეგ: მას დააბრალა არც მეტი, არც ნაკლები, ქართულ სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობა 1992-1993 წლების სამხედრო დაპირისპირების დროს. მაგრამ აფხაზურ საზოგადოებაში შამბას ამ „მონაჭორმა“ მისთვის უკუშედეგი იქონია. აფხაზები განსაკუთრებით იმან გააღიზიანა, რომ შამბამ მთავარ „მოწმედ“ მოსკოვს „გახიზნული“ თენგიზ კიტოვანი (რომელიც, როგორც ცნობილია, ხშირად აკეთებს კრემლისთვის მაამებლურ განცხადებებს) დაიყენა. ის კიტოვანი, რომელიც აფხაზთა თვალში ერთნიშნად ომის გამჩაღებლად და „მთავარ სამხედრო დამნაშავედ“ აღიქმება.

და აი, შამბას შტაბმა სოხუმის ცენტრში – ფილარმონიის შენობიდან მოაწყო ანქვაბის მოღალატური „ძირგამომთხრელი“ საქმიანობის „მაკომპრომეტირებელი“ მასალის – კიტოვანის ვიდეოინტერვიუს დემონსტრირება. გარდა იმისა, რომ აფხაზებმა არ მოუწონეს შამბას ეს ულირსი საქციელი, მათ ამ ქმედებაში სავსებით საფუძვლიანად მოსკოვის ხელი დაინახეს და ეს აფხაზეთის საშინაო საქმეებში მორიგ უხეშ ჩარევად მიიჩნიეს. აფხაზ ექსპერტთა საყოველთაო აღიარებით, სწორედ ამ ფაქტმა ჩააგდო რუსული „პროექტი“ და ყველასთვის მოულოდნელად, შამბამ პირველივე ტურში გამანადგურებელი მარცხი იწვნია. ამჯერად რუსეთის ხელისუფლებას (განსხვავებით 2004 წლისგანძ ჭკუა ეყო და იმთავითვე აღიარა გამარჯვებული კანდიდატი.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად წარმატებული იქნება ანქვაბის საქმიანობა, ამის თქმა ჯერჯერობით ძნელია, თუმცა ძალზე საეჭვოა, რომ მან ვითარების ძირეული შეცვლა და აფხაზეთის ღრმა კრიზისიდან გამოყვანა მოახერხოს. თავისი „ბეგრაუნდიდან“ გამომდინარე, ის შეეცდება კრიმინალური თარეშის აღკვეთას და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას – მართლაც, სწორედ ესაა მისი მთავარი „საპრეზიდენტო“ დაპირება და არა მარტო გალელების წინაშე. მას ამის პოლიტიკური ნება ნამდვილად ექნება. თუ ბოლოდროინდელ მოვლენებს დავაკვირდებით, შეიძლება, ითქვას, რომ პირველი ნაბიჯები (თუმცა ძალზე გაუბედავიძ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ანქვაბმა შექმნა ერთგვარი „მარიონეტ ძალი“, რომლის შემდეგაც ერთმანეთს დაუპირისპირა კრიმინალური კლანები. სავსებით შესაძლებელია, რომ ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის, გალის ქართული მოსახლეობის არაერთგზის დამწიოკებლის ვოლმერ ბუთბას (რომელსაც ბაღაფშის ხელისუფლება ვერ მოერიაძ ლიკვიდაცია ამ გეგმის რეალიზაციის პირველი სერიოზული შედეგი იყოს.

**— 2011 წელი აფხაზებსა და რუსებს შორის სასაზღვრო დავითაც გამოირჩა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

— დიახ, 2011 წელს ძალზე მწვავედ იდგა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე არსებული სოფელ აიბგას კუთვნილების საკითხი. ეს ისტორიული აფხაზური სოფელი, რომელიც მდინარე ფსოუს ორივე ნაპირზეა განლაგებული, რეალურად დიდი ხანია, რუსეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაშია, ოღონდ ეს საკითხი ფორმალურად დღემდე გადაუჭრელია. რუსეთის ხელისუფლება შეეცადა, აღნიშნული პუნქტი, რომელიც ამჟამად რუსებითაა დასახლებული, იურიდიულადაც მიესაკუთრებინა, რასაც ასევე დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა აფხაზეთში. კრიტიკული გამონათქვამები გარკვეული გაფრთხილების ტონით ჰქონდა თვით მმართველ რეჟიმთან დაახლოებულ პოლიტიკოსებსაც, მათ შორის – „პარლამენტის“ ვიცე-სპიკერს, ისტორიკოს ირინე აგრბას (სხვათა შორის, ჩემს მოწაფესძ. მოსალოდნელი გართულებების შიშით რუსულმა მხარემ ამ ეტაპზე თავი შეიკავა ამ პრობლემის ფორსირებულად გადაჭრისაგან და მოლაპარაკებები „ხანგრძლივი დიალოგის“ რეჟიმში გადაიყვანა.

**— მოგეხსენებათ, რუსულ-აფხაზურმა დაპირისპირებამ, რომელიც, როგორც თქვენ აღნიშნეთ, მკაფიოდ გამოიკვეთა 2011 წელს, ახალი მუხტი შეიძინა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (მსო) გაწევრების პირობების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებებისა და ამ საკითხზე ქართულ-რუსული შეთანხმების მიღწევის პერიოდში. რას ფიქრობთ აღნიშნულთან დაკავშირებით, იყო თუ არა მსო-ის საკითხი ქართული დიპლომატიის გამარჯვება, რას მივიღებთ ამით ჩვენ, რუსები და აფხაზები?**

— სავსებით გეთანხმებით, სწორედ ამ ფაქტმა აფხაზური საზოგადოების (და არა ოპოზიციურად განწყობილი ცალკეული პოლიტიკოსების, როგორც ამას გვიკიჟინებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე განაწყენებული ზოგიერთი ქართველი ექსპერტ-პოლიტიკოსიძ უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. აფხაზეთში არ წყდება ვნებათაღელვა მიღებული დოკუმენტის ირგვლივ. სეპარატისტულ რეჟიმთან დაახლოებული თითო-ოროლა ექსპერტის გარდა, რომელიც ამაოდ ცდილობს აფხაზური საზოგადოების „დამშვიდებას“, ექსპერტთა და პოლიტიკოსთა ფართო სპექტრი გამოთქვამს სერიოზულ უკმაყოფილებას ანქვაბის ხელისუფლების უნიათობის გამო და აფხაზეთის ზურგს უკან საქართველო-რუსეთის შეთანხმების დადების ფაქტს ერთნიშნად მიიჩნევს აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის „უდიდეს ჩავარდნად“ („крупнейший провал“ძ. ამასთან, გამოთქვამენ შიშს, რომ ამ დოკუმენტის ხელმოწერას მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები „აფხაზეთის სუვერენიტეტის მოშლისაკენ“ („по разрушению суверенитета Апсны“ძ. მათი სავსებით საფუძვლიანი დასკვნით, „შეთანხმებამ აჩვენა მთელ მსოფლიოს, რომ ვაჭრობა რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის სუვერენიტეტის თაობაზე შესაძლებელია“. აფხაზებს განსაკუთრებით შეურაცხმყოფელად მიაჩნიათ ის, რომ რუსეთ-საქართველოს შეთანხმებაში „აფხაზეთის სახელმწიფო“ საერთოდ არ ფიგურირებს და მისი ტერიტორია „სავაჭრო კორიდორადაა“ გამოცხადებული. მართლაც, ის ფაქტი, რომ შეთანხმების (მისი სუბიექტები მხოლოდ საქართველო და რუსეთიაძ ხელისმომწერ ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო პუნქტებად ლარსთან ერთად ფაქტობრივად გამოცხადებულია ფსოუ და როკი (აღნიშნული პუნქტები დოკუმენტში გეოგრაფიული კოდებითაა მითითებულიძ, სრული რევიზიაა (რუსეთის მხრიდანძ იმ ყბადაღებული „ახალი რეალობისა“, რომელიც „შეიქმნა“ 2008 წ. აგვისტოს რუსული ავანტიურის შედეგად და რომლის აღიარებას დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან ასე თავგამოდებით (თუმცა ამაოდძ ცდილობს ოფიციალური მოსკოვი. ანუ, კრემლმა 2008 წელს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად“ ცნობის შემდეგ, ოფიციალურ დოკუმენტში ფაქტობრივად პირველად დააფიქსირა საქართველოს სახელმწიფო მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში. სწორედ ეს მიაჩნიათ აფხაზეთის (ასევე „სამხრეთ ოსეთის“ძ ღალატად რუსეთის მხრიდან არა მხოლოდ აფხაზებს, არამედ თვით კრემლის იმპერიული პოლიტიკის აპოლოგეტ რუს პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს. აი, ამ ფონზე კი ნამდვილად გაკვირვებას იწვევს ცალკეული ჩვენი ექსპერტ-პოლიტიკოსის (ოპოზიციური სპექტრიდანძ მცდელობა, ყოველნაირად დააკნინოს რუსეთის მსო-ში შესვლის პირობების თაობაზე მიღწეული ქართულ-რუსული შეთანხმების პოლიტიკური დივიდენდების მნიშვნელობა საქართველოსთვის.

**— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აფხაზურ-რუსული ურთიერთობების გაუარესებაზე 2011 წელს გარკვეული გავლენა იქონია დისკუსიამ ისტორიოგრაფიის სფეროში. თქვენ პროფესიონალი ისტორიკოსი ბრძანდებით, თანაც აფხაზეთის ისტორიის აღიარებული მკვლევარი. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— რუსულ-აფხაზური დაპირისპირება ისტორიოგრაფიის სფეროში, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური შეფერილობა მიიღო, ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო, როდესაც სეპარატისტების „დიდმა მეგობარმა“ და მფარველმა კონსტანტინე ზატულინმა მოულოდნელად დატუქსა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, სეპარატისტული მოძრაობის ერთ-ერთი წამყვანი, იდეოლოგი სტანისლავ ლაკობა იმის გამო, რომ მან 2006 წელს გამოცემულ ე.წ. „აფხაზეთის ისტორიის“ სასკოლო „სახელმძღვანელოში“ დაადანაშაულა რუსეთის იმპერია აფხაზეთის მიმართ გატარებული კოლონიური პოლიტიკის გამო. ამ „სახელმძღვანელოს“ ავკარგიანობაზე ვრცლად ვმჯელობთ სპეციალურ წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე და ამიტომ მასზე დაწვრილებით აქ არ შევჩერდები, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ „სახელმძღვანელოში“ არც მეტი, არც ნაკლები, ღიად არის გაცხადებული, რომ 1810 წლის აქტი აფხაზეთის სამთავროს ე.წ „ნებაყოფლობითი შეერთება რუსეთთან“ კი არ იყო, არამედ აფხაზეთის დაპყრობა და რომ რუსეთის იმპერია თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე „ეომებოდა აფხაზ ხალხს“. დისკუსიამ მალე პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა და საკმაოდ მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სტ. ლაკობამ გამოაქვეყნა სტატია მეტად გამომწვევი სათაურით – „ზატულინიზმი“. მაგრამ ზატულინს მომხრეები მალე აფხაზეთში გამოუჩნდნენ. აშკარად ს. ბაღაფშის მმართველი პარტიის – „ერთიანი აფხაზეთის“ „ბოსების“ შეკვეთით „აფხაზეთის ისტორიის“ სასკოლო „სახელმძღვანელოს“ განმაქიქებელი კრიტიკით გამოვიდა „რუსეთუმე“ ფილოლოგი და ისტორიკოსი ალექსი პაპასკირი. მას საკმაოდ მკვახე პასუხი გასცეს „სახელმძღვანელოს“ ავტორებმა სტ. ლაკობამ და ოლეგ ბღაჟბამ. 2011 წლის იანვარში კი შემაჯამებელი სტატიით გამოვიდა თვით კ. ზატულინი, რომლის დებულებები ახალი „არგუმენტებით“ „შეამაგრა“ მისმა „ერთგულმა თანამებრძოლმა“, თავისი ანტიქართული განცხადებებით ცნობილმა ფელიქს სტანევსკიმ, თავის დროზე რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში. ცხარე პოლემიკაში ჩაერთვნენ ა. ეპიფანცევი რუსების მხრიდან, აფხაზებიდან კი – ა. ოტირბა და სხვ. ეს დისკუსია არ დამთავრებულა და მოსალოდნელია ახალი „ბატალიები“ ამ მიმართულებითაც.

**— იქონია თუ არა რაიმე გავლენა აფხაზ ხალხზე ცხინვალში და რუსეთში მიმდინარე მოვლენებმა?**

— კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინება ანტიმოსკოვური განწყობილებების გაძლიერებისა აფხაზეთში იყო ცხინვალის „საპრეზიდენტო“ არჩევნების შედეგებისადმი და იქ განვითარებული მოვლენებისადმი აფხაზური საზოგადოების დამოკიდებულება. ოფიციალური მოსკოვისა და კოკოითის რეჟიმის თავხედური გადაწყვეტილების მიმართ თავისი საკმაოდ მკვეთრად ნეგატიური პოზიცია არათუ დემოკრატიულად მოაზროვნე ექსპერტებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, არამედ თვით ოფიციალური სტრუქტურის – ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ბათალ ტაბაღუამაც. მისი განცხადებით, „უმაღლესი სასამართლო“ არ უნდა ჩარეულიყო ადგილობრივი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობაში„. „ნებისმიერ შემთხვევაში, – აღნიშნავს აფხაზი ჩინოვნიკი, – გადაწყვეტილება ცსკ-ს უნდა მიეღო და არა რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს... სრულიად ნათელია, რომ ცსკ-ს თავისი ფუნქციის შესრულების საშუალება არ მისცეს“. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც კომენტარები ზედმეტია. როგორც ვხედავთ, აფხაზები მართლაც ძალიან გაუთამამდნენ კრემლს.

**— და ბოლოს, რას უნდა ელოდოს აფხაზეთის მოსახლეობა ახალი წლისგან?**

— როგორც ჩვენი მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, აფხაზეთს საკმაოდ მძიმე ჟამი უდგას. სრულიად აშკარაა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ, მას შემდეგ, რაც აღიარა აფხაზეთის „დამოუკიდებლობა“, საქმე „მოთავებულად“ ჩათვალა და „მოსავლის აღებას“ შეუდგა. მართალია, კრემლი ჯერ კიდევ ფრთხილობს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ის მეთოდურად გააგრძელებს თავისი იმპერიული გეგმის – აფხაზეთის მიტაცების რეალიზაციას. ამის კონტურები უკვე საკმაოდ მკაფიოდ გამოჩნდა და ამას ნათლად გრძნობენ ჩვენი აფხაზი თანამოძმენიც. ერთია მხოლოდ, 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ჩატარებამდე (თუ მანამდე არ „აფეთქდა“ ჩრდილოეთ კავკასია აფხაზეთიანად და საერთოდ არ ჩაიშალა ეს სპორტული ფორუმი) მოსკოვი ალბათ, მოერიდება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას, აი, ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ კი მოვლენები შეიძლება, ფორსირებულად განვითარდეს. ვუსურვოთ ჩვენს აფხაზ ძმებს, მისცემოდეთ ძალა რუსულ ექსპანსიასთან გასამკლავებლად.

**ირინა არდაშელია**

# სსრ კავშირის დანგრევისთვის რუსები გორბაჩოვს გაასამართლებენ

რუსი ისტორიკოსისა და პოპულარული ბლოგერის ნიკოლაი სტარიკოვის მიერ დაფუძნებულმა „რუსეთის მოქალაქეთა პროფესიულმა კავშირმა“ ინიციატივა გამოთქვა, რუსეთის მოქალაქეებისა და ასევე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელით, რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტისა და კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრას.

მიხეილ გორბაჩოვს დანაშაულად უთვლიან იმას, რომ მან არ შეასრულა თავისი მოვალეობა და ქვეყნის დაშლა დაუშვა.

შეგახსენებთ, რომ სამშობლოს ღალატის მუხლით, გორბაჩოვის გასამართლების მცდელობა 1991 წელს ჰქონდა საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელს, ვიქტორ ილუხინს, თუმცა მაშინ საქმე დაიხურა.

ამჯერად, „რუსეთის მოქალაქეთა პროფკავშირის“ ინიციატივით, რუსმა იურისტებმა უკვე შეიმუშავეს გორბაჩოვის სამართლებრივი დევნის მექანიზმი. მათი არგუმენტები ასეთია:

გორბაჩოვმა „დერჟავა“ დაანგრია. რუსეთს სჭირდება „დეგორბაჩოვიზაცია“. „გორბი“ – ასეთი მოფერებითი სახელით უწოდებენ მიხაილ სერგეევიჩს მისი დასავლელი მეგობრები, რაც რუსეთის ისტორიაში არ



მომხდარა: არ ყოფილა „ლენი“, არ ყოფილა „სტალი“, „ხრუში“ და ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ეს ადამიანი ასე უყვართ ლონდონსა და ვაშინგტონში და არ უყვართ მოსკოვში.

რას აპირებს რუსეთის მოქალაქეთა პროფკავშირი:

რუსეთის ყველა მოქალაქემ, რომელიც პროფკავშირებს ეთანხმება, საგამოძიებო კომიტეტში უნდა შეიტანოს განცხადება ილუხინის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განახლების შესახებ. თუ საქმეს არ განაახლებენ, „ყველანი მივდივართ სასამართლოში“, – წერს პროფკავშირები. თუ აქაც არაფერი გამოუვათ, გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ და უმაღლეს სასამართლომდეც მივლენ.

პროფკავშირები დარწმუნებული არ არიან, რომ გორბაჩოვის გასასამართლებლად რუსეთის ათასობით მოქალაქე მოაწერს ხელს. პარალელურად კი მოაწყობენ აქციებს ლოზუნგით – „უჩივლე გორბაჩოვს სასამართლოში“. იდეის ავტორებს იმედი აქვთ, რომ მათ შეუერთდება უკრაინის მოქალაქეთა კავშირი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, ბელარუსი, „რადგან გორბაჩოვმა ყველას უღალატა“.

გულისხმობს თუ არა პროფკავშირების ინიციატივა გორბაჩოვის გასამართლების შემდეგ საბჭოთა კავშირის აღდგენას, ამაზე პროფკავშირები არაფერს ამბობენ. თუმცა თუ გავითვალისწინებთ თვით ვლადიმერ პუტინის თამადობით სსრ კავშირის აღდგენის მოსურნეთა არცთუ დიდ სიმცირეს, შესაძლოა, მალე მოსკოვში ამ ლოზუნგით მოწყობილი მიტინგებიც ვნახოთ.

**თეა ინასარიძე**

---

# დემოკრატიის გზაზე: ყაზახეთი ორპარტიული პარლამენტის მოლოდინშია

პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ საუბრები პარლამენტის დათხოვნის შესახებ, ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. მეჯლისის (პარლამენტის ქვედა პალატისძ 107 მოქმედი დეპუტატიდან 53 წარმომადგენლის მიმართვა 10 ნოემბერს გაჟღერდა. მეჯლისის წევრებმა თავიანთი გადაწყვეტილება მოსალოდნელი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისით ახსნეს, რომლის მასშტაბები გაუთვალისწინებელია და შეიძლება ყაზახეთის ეკონომიკას შეეხოს. თავისი როლი იმ მრავალმხრივმა კრიტიკამაც შეასრულა, რომელიც საპრეზიდენტო პარტიის „ნურ ოტანის“, რომელიც ყველა ადგილს იკავებდა პარლამენტის ქვედა პალატაში, ხელისუფლებაში მონოპოლიის მიმართ ისმოდა. ასეა თუ ისე, ვადამდელი არჩევნების თარიღი უკვე ცნობილია – 2012 წლის 15 იანვარი.

აქტიურად მზარდი თანამედროვე სახელმწიფოს იმიჯის ფორმირება ბოლო წლებში ყაზახეთის ერთ-ერთ დიპლომატიურ ბრენდად იქცა. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში წარმატებებს უდავოდ უშლის ხელს რესპუბლიკის რეპუტაცია თავისუფალი არჩევნების გამართვის თვალსაზრისით.

პოლიტიკური ცვლილებების მომწიფებულ აუცილებლობას თვითონ ყაზახეთშიც აცნობიერებენ. „იმ მასშტაბური მოდერნიზაციისათვის, რაც ქვეყანაში ხდება, აუცილებელია პარლამენტის განახლება. ამასთან, თუ შემდეგი კრიზისი მოხდება, ელექტორალურ კამპანიასთან თანხვედრა გაართულებს ქვეყნის მმართველების, მთავრობის და რეგიონების საქმიანობას ამ საკითხთან დაკავშირებით, – ამბობს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი. – ...საზოგადოებას სჭირდება მრავალპარტიული პარლამენტი“. პრეზიდენტის სიტყვებით, ყაზახეთის პოლიტიკის დემოკრატიული ვექტორის განვითარება თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს. ხელისუფლების ჩანაფიქრით, ასეთი ნაბიჯი გააუმჯობესებს ყაზახეთის იმიჯს დასავლეთის თვალში.

კონსტიტუციაში ბოლო შესწორებების თანახმად, პარლამენტის ქვედა პალატაში წარმოდგენილი უნდა იყოს სულ ცოტა ორი პოლიტიკური პარტია. ამისათვის რესპუბლიკაში გატარდა პოლიტიკური სისტემის რეფორმირება, კერძოდ, შემოღებულია დეპუტატების არჩევა პარტიული სიებით. მეჯლისის დაშლამდე, ყველა საარჩევნო ადგილი ნურსულთან ნაზარბაევის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ „ნურ ოტანის“ პარტიის წარმომადგენლებს ეკავათ. დანარჩენმა პარტიებმა კი, რომლებმაც ბოლო 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, ვერ შეძლეს 7%-იანი ბარიერის გადალახვა, რაც პარლამენტში მოსახვედრად აუცილებელია. ახლახანს მიღებული შესწორებების გათვალისწინებით, ახალი მოწვევის პარლამენტში ადგილებს გარანტირებულად მიიღებს სულ ცოტა ორი პარტია, მიუხედავად იმისა, მეორე პარტია გადალახავს თუ არა 7%-იან ბარიერს. ყაზახეთის ხელისუფლების აზრით, მოქმედ კანონმდებლობაში ასეთი შესწორებები შეცვლის საერთაშორისო ექსპერტების წარმოდგენას ყაზახეთში არადემოკრატიული არჩევნების შესახებ.

ის, რომ მმართველი პარტიის „ნურ ოტანის“ წარმომადგენლები დაიკავებენ ადგილების უმრავლესობას ახალ მეჯლისში,



ეჭვს არ იწვევს. პარტიის XIV ყრილობაზე გამოსვლისას, ნურსულთან ნაზარბაევმა აღნიშნა: „მინდა გამოვხატო ღრმა რწმენა, რომ ყველა პოლიტიკური პარტია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ არჩევნებში, იხელმძღვანელებს მაღალი პასუხისმგებლობით ერის, ხალხის, ქვეყნის, მსოფლიო ისტორიაში რთული პერიოდის და კრიზისის წინაშე, გამოამჟღავნებს სოლიდარობას, რათა შეინარჩუნოს სტაბილურობა, სიმშვიდე ჩვენს საზოგადოებაში, იქნება კონკრეტული და კორექტული პოლიტიკურ ბრძოლაში. როგორც პრეზიდენტი, მე ვიმუშავებ ყველა პოლიტიკურ ძალასთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება ახალ პარლამენტში და ასევე ჩვენთან ქვეყანაში“. ამასთანავე, პრეზიდენტმა განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა იმას, რომ წარმოადგენს რა ლიდერ პარტიას რესპუბლიკაში, „ნურ ოტანი“ კისრულობს ქვეყნის მომავლის, საზოგადოების სტაბილურობის და მომდევნო ათწლეულისათვის პოლიტიკური კურსის შესაბამისობის პასუხისმგებლობას. „წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩვენი საერთო ამოცანა არის მივიყვანოთ ჩვენი პარტიული ამოცანების სიღრმისეული არსი თითოეულ ამომრჩევლამდე, ყაზახეთის თითოეულ მოქალაქემდე, – აღნიშნა ნურსულთან ნაზარბაევმა – ... მე დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტიის – „ნურ ოტანის“ საერთო სახალხო მხარდაჭერაში“.

„ყაზახეთის ხელისუფლებას სურს, დაამკვიდროს ორპარტიული სისტემა – სწორედ ამის შესახებ მიმდინარეობს მუდმივად საუბარი, – მაგრამ ამ შემთხვევაში ჩნდება აუცილებლობა, მოიძებნოს ისეთი პარტია, რომელიც გახდებოდა ლოიალური ოპოზიცია“ - აღნიშნა ერთ-ერთ ინტერვიუში რიკო აიზეკსმა, ავტორმა წიგნისა „ყაზახეთის პარტიული სისტემის ფორმირება“.

ამასთან ის, რომ მმართველი პარტია „ნურ ოტანი“ დომინირებს, ამის ერთ-ერთ საკვანძო, ხელისშემწყობი ფაქტორი ოპოზიციის გახლეჩილობაა.

ბევრი ანალიტიკოსის აზრით, მეჯლისში წარმოდგენილი მეორე პარტია სავარაუდოდ გახდება „აკ ჟოლი“, რომელიც წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესებს. მოსალოდნელია, რომ წინასაარჩევნო რბოლაში აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პარტიები: „აზათი“, „თაბიგათი“. ყაზახეთის კომუნისტური პარტია, რომლის მოღვაწეობაც 2012 წლის აპრილამდე შეწყვეტილია, ვადამდელ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის კნუტ ბოლებეკის სიტყვებით, „... არჩევნები არ არის რაიმე მოსალოდნელი კრიზისის მიზეზი, და ის, რომ არსებობს არჩევითობა და ის, რომ ყაზახეთის რესპუბლიკაში ეწყობა არჩევნები, – ეს სიჯანსაღის ნიშანია“. ასეთი მაღალი შეფასება ეუთოს მხრიდან ყაზახეთის პოლიტიკურ სისტემაში არსებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ადასტურებს საერთაშორისო ექსპერტების ნდობას რესპუბლიკაში მიმდინარე რეფორმებისადმი. კნუტ ვოლებეკმა ასევე გამოხატა იმედი, რომ „... მათთან, ვინც მოვა საკანონმდებლო ხელისუფლებაში არჩევნების შედეგად, ჩვენ შევძლებთ წარმატებულად ვიმუშაოთ ჩვენი მიმართულებით და განვაგრძოთ მუშაობა ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობასთან“.

ნათელია, რომ როგორიც უნდა იყოს პარლამენტის ქვედა პალატის ვადამდელი არჩევნების შედეგი, ყაზახეთი მიიღებს დასავლეთის დადებით შეფასებას. თავისი განსაკუთრებული, „ყაზახური“ განვითარების გზის არჩევით, ქვეყანა ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს დემოკრატიის გზისაკენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ერთპარტიულმა პარლამენტმა მთლიანად ამოწურა ხალხის ნდობის მანდატი. თუმცა, არსებითი ცვლილებები პოლიტიკურ სისტემაში საზოგადოების იმ უკმაყოფილო სეგმენტის შემცირებას გამოიწვევს, ვისაც დღევანდელ დღეს არ ყავს პოლიტიკური წარმომადგენლობა ხელისუფლებაში.

**თამაზ ვაშაკიძე**

---

## დედამიწის ზურგზე



**აფეთქებების სერია ბაღდადში: დაიღუპა 20-ზე მეტი კაცი, ათობით დაიჭრა**

ერაყიდან ამერიკის ჯარების გამოყვანის შემდეგ, რაც 2011 წლის დეკემბერში დასრულდა, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში ბოევიკების შეტევები გახშირდა. ამ შეტაკებებს დაემთხვა დაძაბულობის ესკალაცია სუნიტებსა და შიიტებს შორის. პოლიტიკურ მეთვალყურეებს ეშინიათ, რომ ეს მიგვიყვანს ქაოსამდე, სამოქალაქო ომის დაწყებამდე და ქვეყნის გათიშვამდე.

* * *

**პოლიტიკური სკანდალი ჩილეში: პინოჩეტის სისხლიან რეჟიმს აღარ მიიჩნევენ დიქტატურად**



პრავოცენტრისტული მთავრობის გავლენით, სასკოლო სახელმძღვანელოებში შეიცვალა გენერალ ავგუსტო პინოჩეტის მართვის პერიოდის შეფასება. ახლა იქ წერენ, რომ ქვეყანაში იყო „სამხედრო რეჟიმი“ და არა „დიქტატურა“. ოპოზიცია ხელისუფლებას ისტორიის ფალსიფიკაციაში ადანაშაულებს.

* * *

**ქსელში მოხვდა პენტაგონის არასასიკვდილო იარაღის სია: აშშ-ს სურს მტრების არა დახოცვა, არამედ მათი მართვა**



დოკუმენტში დაწვრილებით არის აღწერილი ასეთი იარაღის სხვადასხვა სახეობანი, მათ შორის ლაზერები, თბოსხივები და ხმის ტალღები, რომლებიც შეიძლება გამოიყენო სხვადასხვა მიზნებისთვის – ბრბოს დაშლიდან ადამიანთა და მტრის ტექნიკის დეზორიენტაციამდე. ზოგიერთი მათგანი მომავლის ტექნოლოგიას წარმოადგენს, რომლებიც ადრე მხოლოდ ფანტასტიკურ წიგნებში გვხვდებოდა.

* * *

**ფილიპინებზე ზვავების ჩამოწოლის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 25 კაცი, დაახლოებით ასი უგზო-უკვლოდ დაიკარგა**

ტრაგედია მოხდა დილით ადრე პროვინცია კომპოსტელის ველის მთიან რაიონში, რომელიც დიდ კუნძულ მინდანაოზე მდებარეობს. მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.



## საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს ღია კონკურსს

## სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:

**ა) ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობისა და ტექნოლოგიების სამეცნიერო განყოფილების:**

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული (ნახევარგამტარული თერმოელექტრული და კომპოზიციური მასალების სპეციალისტი);

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(მყარი სხეულების ზედაპირების კვლევის სპეციალისტი);

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი –0.5 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული მასალების სტრუქტურისა და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის სპეციალისტი);

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი –0.5 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული ეპიტაქსიური სტრუქტურების ტექნოლოგი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული მასიური კრისტალების მიღებისა და კვლევის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(Si-Ge-ს ფუძეზე მასიური კრისტალებისა და ეპიტაქსიური ფენების კვლევის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობისა და დაბალტემპერატურული თერმოელექტრული გარდამქმნელების სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –2 საშტატო ერთეული
(იონური იმპლანტაციის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული და კომპოზიციური ნანომასალების მიღების ქიმიური ტექნოლოგიების სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(Si-Ge-ს შენადნობების რადიაციული მასალათმცოდნეობის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –0.5 საშტატო ერთეული
(მყარი სხეულების ზედაპირების კვლევის სპეციალისტი)

**ბ) არატრადიციული ენერგეტიკის სამეცნიერო განყოფილება:**

– მეცნიერ-თანამშრომელი –3 საშტატო ერთეული
(მაღალტემპერატურული თერმოელექტრული ტექნოლოგიების სპეციალისტი);

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(ნახევარგამტარული ფოტოელექტრული გარდამქმნელების სპეციალისტი).

**გ) კრიოგენული ტექნიკისა და ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილების:**

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
(ფიზიკური მეთოდებით ნანომასალების მიღების ტექნოლოგიებისა და კვლევის სპეციალისტი).;

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(კრიოგენულ ტექნოლოგიებში ფიზიკური პროცესების ავტომატიზაციის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(კრიოგენული ტექნიკის სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –1 საშტატო ერთეული
(ზესუფთა მასალების მიღების კრიოგენული ტექნოლოგიების სპეციალისტი);

– მეცნიერ-თანამშრომელი –0.5 საშტატო ერთეული
(კრიოტექნიკის კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიების სპეციალისტი).

**დ) რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის სამეცნიერო განყოფილება:**

– მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
(მეცნიერებათა დოქტორი, დინამიური პროცესების მოდელირებისა და მართვის სპეციალისტი);

– უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული
(სხვადასხვა დანიშნულების ელექტრონული სისტემების მოდელირების,პროექტირებისა და დამუშავების სპეციალისტი).

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი;

ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს.

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების,საავტორო მოწმობების, ლიცენზიების,გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია).

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 4 წლის ვადით.

5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2012 წლის 18 იანვარი 18.00 სთ.

6. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 20 იანვარს 11:00 საათზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, მინდელის ქ. №7-ში.

საქართველო, თბილისი, 0186.
**ელ-ფოსტა: sipt@sipt.org**
**ვებ. გვერდი: www.sipt.org**
ტელ: +(995 322) 2946615

**პასუხისმგებელი პირი: ვლადიმერ კუჭუხიძე**



# აქტიური პროცესები იანვარში

**მინიმუმების დღეებში გრაფიკით: 11,12 და 18-ში შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**დაძაბული დღეები 2012 წლის იანვარში: 9 (11-13), 14 (05-09), 16 (18-20), 21 (16-18), 23 (09-12), 25 (12-14), 26 (17-19), 30 (15-18), 31 (08-10).**

### ახლა უფრო დაწვრილებით

იანვარში გეოგრაფიული აქტიურობის გაძლიერება მოსალოდნელია: 8-9, 14-16, 21-26, 30, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და ქარიშხლების ფორმირება, ყველა სახის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტიურობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.

**9 — სავსე მთვარე.** საალბათოა პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, მგრძნობიარობა, ეჭვიანობა და წყენიანობა. შესაძლებელია კუჭ-ნაწლავთა ტრაქტის მუშაობის, სითხისეული ბალანსის დარღვევები, ანთებითი პროცესები, დეპრესიები და შიშები. რეკომენდებულია თავიდან ავიცილოთ სტრესები და დიდი ფიზიკური დატვირთვები, თავი შეიკავეთ სპირტიანი სასმელების, მძიმე საკვების მიღებისგან.

**14 — მთვარე-მარსის შეერთება, ვენერა გადადის თევზის ნიშანში.** შეიძლება შეგაწუხოთ თავის ტკივილმა, უძილობამ, თირკმელებისა და შარდსადენი გზების დაავადებათა გამწვავებამ, ტკივილებმა ყელსა და ფეხის ვენებში. რეკომენდებულია ვერიდოთ გაცივებას, გამოვიჩინოთ ყურადღება გარშემომყოფთადმი, ემოციები გქონდეთ კონტროლქვეშ, არ ჩაერთოთ კონფლიქტებში, გადადეთ ურთიერთობათა გამორკვევები.

**16 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარე-სატურნის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, თირკმელების, შარდსადენი გზების, სახსრებისა და ხერხემლის დაავადებების გამწვავება. არ შეიძლება, რომ დავუშვათ მენჯის მიდამოების გადაცივება და მძიმე ტვირთების გადატანა. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დასამთავრებლად, ურთიერთობისთვის, კონტაქტების მოწესრიგებისათვის. ახალი საქმეების წამოწყება უკეთესია რომ გადადოთ.

**21 — მთვარე-პლუტონის შეერთება.** შესაძლებელია დეპრესია, მარტოობის გრძნობა, ასაკით უფროს ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილება. შეიძლება გაჩნდეს ფიზიკური სისუსტე, კბილების, ძვლებისა და სახსრების ტკივილები. არ არის გამორიცხული სასქესო ორგანოებისა და სასუნთქი გზების დაავადებანი. ერიდეთ დაცემას, ტრავმატიზმსა და გაცივებას.

**23 — ახალი მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ნერვიულობა, გაღიზიანება, მოულოდნელი საქციელისადმი მიდრეკილება. მოწყვლადია თვალები, ნერვული სისტემა, ვენები, ფეხები, გრძნობის ორგანოები. არ არის გამორიცხული საერთო სისუსტე და თრომბოფლებიტის გამწვავება. სტრესები საშიშია, როგორც არასდროს. რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ ფეხები, გამოვრიცხოთ ალკოჰოლი, გავუფრთხილდეთ თვალებსა და ნერვულ სისტემას. ხელსაყრელი დროა დასვენებისა და სეირნობისთვის.

**25 — მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შეიძლება შეინიშნებოდეს დაბნეულობა, რეალობის გრძნობის დასუსტება, ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავება. შესაძლებელია ტკივილები სისხლძარღვებსა და ფეხის ძვლებში, ოსტეოქონდროზის გამწვავება, ინფექციურ და ალერგიულ დაავადებათა ალბათობა. რეკომენდებულია არ გადავტვირთოთ ღვიძლი, თვალები და ფეხები, თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისა და ყავისგან.

**26 — მთვარე-ვენერას შეერთება.** ემოციურობა, ოცნებები და რომანტიკულობა. შესაძლებელია ცხვირ-ყელ-ყურის გაციებითი დაავადებანი, ტკივილები ფეხის ტერფებში. ერიდეთ გაცივებას, ცხიმიან და ცხარე საკვებს, სპირტიან სასმელებსა და ყავას, კვებით მოწამვლას.

**30 — მთვარე-იუპიტერის შეერთება, მთვარის აპოგეა.** შეიძლება შეგაწუხოთ ტკივილებმა ღვიძლში, მხრისა და ხელების სახსრებში. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაცივებას, ზედმეტი საკვების, უხარისხო პროდუქტების მიღებას, დაიცავით ხელები დაწვისაგან, გაჭრისგან და იოგების დაჭიმვისგან.

**31 — მთვარის პირველი მეოთხედი.** შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, სასუნთქი გზების, ცხვირ-ყელ-ყურის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ხელებში. ერიდეთ გაცივებას და ინფექციებს.

**ინფორმაცია**

## ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ აბიტურიენტს განათლების მიღების პირობები გარანტირებული ექნება

**ალნიშნულ საკითხს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულების, იზოლატორების შინაგანაწესის და იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილება ითვალისწინებს, რომელიც 1-ელი იანვრიდან შევიდა ძალაში.**

**ბრძანების თანახმად, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს უფლება აქვს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით დარეგისტრირდეს აბიტურიენტად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღების თაობაზე, წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.**

**გამოცდების დღეს ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი აბიტურიენტი ბადრაგის თანხლებით უნდა გადაიყვანონ შესაბამის საგამოცდო ცენტრში.**

**ბრძანების მიხედვით, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირს უნდა შეექმნას ყველა პირობა, რათა არ ჩამორჩეს ზოგადი განათლების პროგრამას. დაუშვებელია პატიმრისათვის სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ნივთების მიღების შეზღუდვა, თუ არ არსებობს დაწესებულების უსაფრთხოებისა ან/და შინაგანაწესის დაცვის გადაუდებელი ინტერესი.**

**ბრძანებაში ცვლილება „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდა.**

ინტერპრესი

ამნისტია

# ვითომ გათეთრდების ყორანი?!



**გემახსოვრებათ, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა შარშან მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობის ბრალდებით „სამტრედიის“, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ზაიას“ ხუთი ფეხბურთელის დაკავებას, რომლებსაც ერთ-ერთი არალეგალური ტოტალიზატორი თითოეულ შემთხვევაში 12-15 ათასი დოლარით „ასაჩუქრებდა“.**

მართალია, შერისხულები მათმა კლუბებმა მაშინვე მოკვეთეს თავიანთი რიგებიდან, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ეს არ იკმარა და წაქცეულები კიდევ უფრო გალახა — სამუდამო დისკვალიფიკაცია უფეშქაშა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, დაიწყო ახალი სეზონი და...

ჰოი, საოცრებავ — სფფ-ს პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ გიგა ბეჟვაია, როინ ონიანი, ლევან ვართაგავა, სპარტაკ გოგია და კახა კირთაძე, არც მეტი, არც ნაკლები, შეიწყალა. მართლაც რომ საშოზაო სიურპრიზია.

„ზოგიერთმა შენდობილმა ცხოვრების დიდი ნაწილი ფეხბურთს შესწირა, ხოლო დანარჩენები ახლა იწყებენ კარიერას და პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ისინი ჩვენგან შეწყალებლობას იმსახურებდნენ“ — განმარტა საკუთარი ნაბიჯი სფფ-მ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, დავიჯეროთ, რვა თვე საკმარისია ყორნის გასათეთრებლად? ღმერთმა ქნას.

და კიდევ. თითქმის ანალოგიური ვერდიქტით დატუსაღებული გიორგი დემეტრაძე ამჯერადაც არავის გახსენებია. თუმცა, იგი რა სახსენებელია — განა „რუსული პროექტის“ — ბიძინა ივანიშვილის მარჯვენა ხელის — კახი კალაძის მეგობარი განთავისუფლების ღირსია?

**გია პლატონიშვილი**

ადამიანი დროში

# „ცაცია“ ტალანტთა სამჭედლოდან

**როცა „ცაცია“ ათიანებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, მათგან უდიდესი — დიეგო მარადონა გვახსენდება, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენც გვყავდა ისეთი უნიჭიერესი „ცალფეხა“ ფეხბურთელი, რომელსაც გენიალური დავით ყიფიანის ღირსეულ მემკვიდრეობას უწინასწარმეტყველებდნენ და ეს რომ ასე არ მოხდა, მისი ბრალი ყველაზე ნაკლებადაა.**



**გრიგოლ ცაავაზე** მოგახსენებთ, რომელსაც საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დებიუტი 17 წლისას ჰქონდა. თანაც, ბედი არ გინდა — მას ხომ ისეთ ვარსკვლავებთან კონკურენციაში უხდებოდა ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა, როგორიც ყიფიანი, გუცაევი და შენგელია იყვნენ.

ორიგინალური დრიბლინგი, საგოლე ალღო, პასის კულტურა — აი, ის საფირმო ნიშნები, რომლითაც ქართველმა გულშემატკივარმა ტალანტების სამჭედლოდან — აფხაზეთიდან დედაქალაქში ჩამოყვანილი კიდევ ერთი ბრწყინვალება შეიყვარა.

მაშინდელი ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის — თბილისის „დინამოს“ მაისურით 11 სეზონის განმავლობაში გამართული 200-ზე მეტი მატჩი მართლაც რომ შთამბეჭდავი ფაქტია, თუმცა მათგან 1982 წელი მაინც განსაკუთრებულია, როცა 20 წლის ცაავამ 32 შეხვედრაში 9 გოლი გაიტანა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის 33 საუკეთესოთა შორის დაასახელეს.

აღარაფერს ვამბობთ დუბლიორთა ტურნირის თამაშებში მის მიერ დადგმულ სპექტაკლებზე, რომელიც „დინამოს“ სტადიონზე 40-45-ათასიან აუდიტორიას იკრებდა ხშირად.

დასანანია, რომ თაობათა ცვლის მტკივნეულმა პროცესმა და მნიშვნელოვანწილად — ზესახელმწიფოს დაშლამ გრიშას საშუალება არ მისცა ბოლომდე ეთქვა თავისი ომახიანი სიტყვა.

შემდეგ იყო ლანჩხუთის „გურია“, სოხუმის „ცხუმი“, თბილისის „თეთრი არწივი“, აფხაზეთის ომი და...

ამ დღეებში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ჩინებულ პიროვნებას გრიგოლ ცაავას 50 წელი შეუსრულდა.

მრავალჟამიერ!

კალათბურთი

# ფიბა-ევროპამ ქართველი მსაჯ-კომისრები გაანაწილა



**ფიბა-ევროპამ ქართველ მსაჯ-კომისრებს იანვრის დანიშვნები გამოუგზავნა.**

**შეგახსენებთ, რომ არბიტრები — მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი და კომისარი, მერაბ რატიშვილი აქტიურად მონაწილეობენ ევროტურნირებში, საკმაოდ მაღალი დონის თამაშებზე. ამჯერად, მათ შემდეგ თამაშებზე მოუწევთ მივლინება:**

**მაკა კუპატაძე**

**11 იანვარი.** ქალების ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. პრაღა. ჩეხეთი.

„პრაღა“ (ჩეხეთი) — „როს კასერესი“ (ესპანეთი)

**დავით ბერეკაშვილი**

**24 იანვარი.** ევროჩელენჯი. მეორე ჯგუფური ეტაპი. თურქეთი

„ქარშიაქა“ (თურქეთი) — „არტლანდი“ (გერმანია)

**ზაზა მაჩალაძე**

**25 იანვარი.** ქალების ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი

„გალათასარაი“ (თურქეთი) — „ბურჟი“ (საფრანგეთი)

**მერაბ რატიშვილი**

**19 იანვარი.** ქალების ევროთასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩი. ისრაელი

„რამლა“ (ისრაელი) — „ქაისერი“ (თურქეთი)

რაგბი

# საქართველო - ერთ წელიწადში ექვსი ერის დონეზე



**ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების ასპარეზობისას, ჩვენი გუნდის თამაშსა და მოედნის მიღმა მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა ამ ქვეყნის სამხრეთის რეგიონის გაზეთი „საუთლენდ თაიმსი“.**

ამ გაზეთის ინტერესი ჩვენი ნაკრების მიმართ მას შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რაც „ბორჯღალოსანთა“ მწვრთნელებად ახალზელანდიელები მილტონ ჰეიგი და კრის გიბსი დაინიშნენ.

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი სულაც ამ რეგიონის მკვიდრია. ის ქალაქ ინვერქარგილში დაიბადა და გაიზარდა.

ჰეიგს რეგიონის გუნდის შემადგენლობაშიც უთამაშია ახალი ზელანდიის ჩემპიონატში. „საუთლენდ თაიმსმა“ ახლახან ვრცელი წერილი გამოაქვეყნა, სადაც ახალზელანდიელი მწვრთნელებისა და საქართველოს ნაკრების მომავლის გეგმებზეა მოთხრობილი.

***გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან.***

**ჰეიგმა საქართველოს რაგბის კავშირთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის გახანგრძლივებაც კიდევ ორი წლითაა შესაძლებელი. მან თავისი კარიერა იმ გუნდს დაუკავშირა, რომელმაც ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.**

**— მიმაჩნია, რომ სწორი და მუხლჩაუხრელი შრომით, ამ ბიჭებს საკმაოდ მაღალი დონის რაგბის თამაში შეეძლებათ. ეს თავისთავად ძალიან საინტერესოა. იმედი გვაქვს, რომ დაახლოებით ერთი წლის თავზე რეალურად გავუწევთ კონკურენციას ისეთ გუნდებს, იტალიისა და შოტლანდიის ნაკრებები რომ არიან.**

**მსოფლიოს თასის მსვლელობისას საქართველოს ნაკრებმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია შოტლანდიის, არგენტინისა და ინგლისის ნაკრებსაც. „პუმებმა“ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება მხოლოდ მატჩის ბოლო 20 წუთში შეძლეს, — თქვა მილტონ ჰეიგმა.**

**— სინამდვილეში ქართველი მორაგბეები თამაშის გარკვეულ კომპონენტებში საკმაოდ კომპეტენტურები არიან — განაგრძობს მილტონ ჰეიგი, — ამ გუნდის დაცვა შესანიშნავად ირჯება და შეუძლია ძალზედ სწრაფად კიდევ უკეთ ათამაშდეს. ვფიქრობ, ჩემი მუშაობის მთავარი მიმართულება თავდასხმის სისტემის შექმნაზე იქნება ორიენტირებული. მათ მსოფლიოს თასის გათამაშებაში მხოლოდ სამი ლელო გაიტანეს. კიდევ რამდენიმეს გატანა შოტლანდიასა და არგენტინასთან თამაშშიც შეეძლოთ, საკმარისი იყო, თავი აეწიათ და ცარიელი, დაუცველი სივრცე შეენიშნათ.**

**— მსოფლიოს თასზე მწვრთნელის რანგში მონაწილეობა კარიერის პიკია. მნიშვნელობა არ აქვს, რომელი გუნდის სამწვრთნელო შტაბში, რა პოზიციაზე იმყოფები. ცხადია, ჩემთვის ასეთი მაღალი რანგის ტურნირზე ასპარეზობა ძალიან საინტერესოა. მართალია, მომავალი მსოფლიოს თასის საგზური ჯერ კიდევ მოსაპოვებელი გვაქვს, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ ამას შევძლებთ.**

**ჩემი მეუღლე დიდი ხანია, ოცნებობს ევროპაში ცხოვრებაზე, მაგრამ ვერაფრით ვახერხებდით. ჩვენი გოგონები, რომელთაგან უფროსი ცხრა წლისაა, უმცროსი კი ექვსის, მოუთმენლად ელიან საქართველოში გამგზავრების დღეს. მართალი გითხრათ, მეც და ჩემი მეუღლეც იგივე განცდამ შეგვიპყრო, — აღიარა მილტონ ჰეიგმა.**

**საქართველოს ნაკრებმა შარშან ევროპის ერთა თასი მოიგო და წლეულს იგივეს გამეორებას შეეცდება. პირველი შეხვედრა „ბორჯღალოსნებს“ 4 თებერვალს სტუმრად უკრაინის ნაკრებთან აქვს. ქართველ მორაგბეთა უმრავლესობა საფრანგეთში პროფესიულ დონეზე ასპარეზობს, თუმცა ჰეიგს ქართული რაგბის მომავალი თაობის იმედი აქვს.**

**— ჩვენი წარმატების საწინდარი ის იქნება, რამდენად შევძლებთ ახალგაზრდა ქართველი მორაგბეების წამოწევას და ეროვნულ ნაკრებში მათ ინტეგრირებას. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ოთხი თვის წინათ ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ვერნ კოტერი იმ ტურნირს ესწრებოდა და მითხრა, რომ ქართველებს მართლაც ჰყავთ რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა მორაგბე. ეს ჩემთვის დამაიმედებლად ჟღერს და კიდევ უფრო მეტად განმაწყობს ნაყოფიერი საქმიანობისთვის, — აღნიშნა მილტონ ჰეიგმა.**

ინტერნეტიდან

## მწვერვალიდან — ბავშვით ხელში



**ამერიკელი სამთო მოთხილამურე ქალი სარა შლეპერი მსოფლიო თასის ეტაპის ტრასაზე დაეშვა მოკლე კაბითა და სამი წლის ბიჭუნა — ლასით ხელში. თანაც ვიდეოკამერაც გაიყოლა, — ასე აღნიშნა 38 წლის სპორტსმენმა ქალმა 29 დეკემბერს კარიერის დამთავრება.**

შლეპერისთვის ბოლო შეჯიბრება იყო სლალომი ავსტრიულ ლინციში.

სარა მსოფლიო თასის შეჯიბრებებზე გამოდიოდა 1995 წლიდან.

საერთოდ კი მონაწილეობდა 186 დაშვებაში. 2005 წელს კი გაიმარჯვა შვეიცარიის ეტაპზე.

ამერიკელი სამთო მოთხილამურე მონაწილეობდა ოთხ ზამთრის ოლიმპიადაში — 1998, 2002, 2006 და 2010 წლებში.

## ქოჩორად იქცა



**სიქაჩლე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელ უეინ რუნისთვის უკვე დამახასიათებელი იყო. ახლახან კი მან თმა გადაინერგა, რაც დაახლოებით 30 ათასი ევრო დაუჯდა — სასურველ შედეგსაც მიაღწია. სიმელოტე დაიფარა მსუბუქად შეხუჭუჭებული თმით, თუმცა შეპარული ჭაღარა მაინც შეინარჩუნა.**

კლინიკის დირექტორი, სადაც ოპერაცია გაუკეთეს, ნადიმ უდის ხანი ამტკიცებს, რომ ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი მაღალ დონეზე გაკეთდაო. გადანერგილი თმა ერთ წელიწადში შეხორცდება. იქამდე კი გადარგული ბუჩქივით იარსებებს.

რუნი კი მაინც შფოთავს. თან ჭაღარა შავად შეიღება, საფეთქლებთან კი შეითხელა, რათა ახალი ქოჩორი კარგად გამოჩნდეს.

საკითხავია, როგორ მოუწონებენ რუნის სიახლეს მისი ყოფილი თანამებრძოლები — კრიშტიანუ რონალდუ, დევიდ ბექჰემი და სხვები.

## საახალწლო ჯეკ-პოტი



**საახალწლო საჩუქარი ათასნაირია, მაგრამ ზოგჯერ ისეთია, თითქოს კინოს ილებდი, რაც არასოდეს დაგვავიწყდება.**

სწორედ ასეთი სცენარი გამოვიდა ახალი წლის წინა ღამეს — როდესაც ფართოსაზოგადოებისთვის ჯერჯერობით უცნობმა აზარტული თამაშების მოყვარულმა ტოტალიზატორში დიდი თანხა მოიგო — „ტოტოში“ თამაშის დროს მან გამოიცნო ბილეთში ყველა 15 მოვლენის დასაწყისი ციფრი და მოიგო ჯეკპოტი — 99 მილიონ 602 ათას 929 რუბლი, საერთო ჯამში კი მიიღო 100 397 573 რუბლი.

925-ე ტირაჟში გადიოდა შოტლანდიის, ისრაელის, პორტუგალიის და იაპონიის საფეხბურთო მატჩები. ტრიუმფი კი მოახდინა ჰოკეის მატჩმა „სან-ხოსესა“ და „ვანკუვერს“ შორის. ის ბილეთში ბოლო ადგილზე იყო. ხელბედნიერმა ანგარიშად ფრე ჩაიფიქრა, აბა, წარმოიდგინეთ მისი განცდები, როცა საყაიმო ანგარიში შენარჩუნდა მეორე პერიოდიდან.

№3. პარასკევი, 6 იანვარი, 2012 წელი.

## გურამ გაბუნიას ხსოვნას

# ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა...

წარსულ ზაფხულს იგი 75 წლისა გახდა. რა თქმა უნდა, მივულოცეთ ახლობლებმა და მეგობრებმა „სიბერის ასაკი", თუმცა შესანიშნავად გამოიყურებოდა და ჩვენც, როგორც წესია, დიდხანს სიცოცხლე ვუსურვეთ...

რას გაუგებ წუთისოფელს – ერთმა ღმერთმა იცის, ვის რა გვაწერია, აკი, ბრძანებს რუსთაველი: „არვის ძალუძს ხორციელსა, განგებისა გარდავლენა".

ჰოდა, აი, იმ საიუბილეო თარიღიდან სულ რამდენიმე თვეში წააბრძანა ღმერთმა იმქვეყნად ჩვენი ძვირფასი გურამ გაბუნია – კაცი, რომელსაც მართლაც შვენოდა კაცობა, კაცი, რომელმაც კაცურად გალია თავისი წილი სიცოცხლე ამ ცოდვილ მიწაზე.

ვინც კვდება, თავისთავს უკვდებაო, ნათქვამია, თუმცა, ცხადია, ამას ყველაზე ვერ ვიტყვით, ეს არც ჩვენს გურამს ეხება, რამეთუ იგი ქვეყანას მოუკვდა, აკი, მთელი სიცოცხლე მან ქვეყნის, ხალხის სამსახურში გაატარა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული იგი მცირე ხანს თბილისის ელექტროშემდუღებელი ქარხნის ინჟინრად მუშაობდა, შემდეგ კი დიდხანს იყო კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე. ჩვენდა სამწუხაროდ, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს „თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში", მოგვიანებით, უნიჭო ირონიები არ დაჰკლებიათ, არადა, უმრავლესობა, ეგრეთ წოდებული „პარტიული მუშაკებისა", ხალხის გვერდით დგომის, მათი ჭირისა და ლხინის გაზიარების, ჭეშმარიტი ოჯახიშვილობისა და ქართველობის მაგალითებს იძლეოდა.



ასე იყო ჩვენი გურამიც. ხანმოთეულ ადამიანებს ახსოვთ იგი – კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, შემდეგ კი თბილისის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1972 წლიდან – პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი, 1974 წლიდან – თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, 1979 წლიდან – თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ოთხმოციანი წლების დასაწყისში – პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ კი, 20 წელიწადზე მეტი – თბილისის მეტროპოლიტენის უფროსი...

არ დაჰკლებია ჩვენს გურამს არც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობა, საკავშირო და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა, მრავალი ორდენი და მედალი, რომელთაგან, ცხადია, ღირსების ორდენი ქვეყანას ერჩია, რადგან სწორედ რომ ღირსეული პიროვნება იყო.

პანაშვიდებზე, მის გამოსათხოვრად, ვინ აღარ მოდის... ერთი მოგვიყვა, რა გულისხმიერება გამოუჩენია გურამს – იმ პერიოდში თბილისის აღმასკომის თავმჯდომარეს – ამ კაცისთვის ბინის მიღებისას, მეორე – მეტროპოლიტენის ყოფილი ოსტატი გვესაუბრა, რა ამაგი დაუდევს თბილისის მეტროს მუშა-მოსამსახურეთათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის გურამ გაბუნიას. საერთოდ, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარედ, მოგვიანებით კი მეტროპოლიტენის უფროსად მუშაობის წლები განსაკუთრებულია მისი განვლილი ცხოვრების გზაზე.

სწორედ მაშინ აღადგინეს და რესტავრაცია ჩაუტარეს დედაქალაქის ისტორიულ ნაწილს, სწორედ მაშინ გაიმართა „თბილისობის" პირველი ზეიმი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორიც გურამ გაბუნია იყო.

ავადმოსაგონარ 90-იან წლებში, როდესაც დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი თითქმის არ მუშაობდა, თბილისის მეტროს, შეიძლება ითქვას, წუთითაც არ შეუწყვეტია მგზავრების მომსახურება...

ძალიან დააკლდა გურამი თავის დიდებულ სამეგობროს, სანათესაოს... დღეს ხანმოთეულ, თავის დროზე კი ქვეყნისთვის გამრჯე ადამიანებს. ნეტა იცოდეთ, ეს, მთელი ცხოვრება „თანამდებობის პირი", რა გულგახსნილი, რა მოსიყვარულე, რა ჭირისა და ლხინის უფალი იყო...

გამონაკლისი იყო, უზომო იყო იგი ოჯახის, დედ-მამიშვილების, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების სიყვარულში, რომელთაც სანუგეშოდ რჩებათ, რომ ძვირფასი გურამის განვლილი გზით იამაყონ.

ამისთვის კი ნამდვილად ღირდა სიცოცხლე, ჩვენო გურამ! ღმერთმა ნათელში გამყოფოს, დაგვტოვე, მაგრამ, როგორც პოეტი ამბობს „შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ, ჩვენ აღარა ვართ შენთვის!"

**ახლობლები, მეგობრები.**

---

## ინფორმაცია

### გარემოზე მიყენებულ ზიანზე სამართალდამრღვევს შეთანხმების შესაძლებლობა ექნება

**გარემოზე** მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, სამართალდამრღვევს შეთანხმების დადების შესაძლებლობა ექნება. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება „გარემოს დაცვის შესახებ კანონში", პარლამენტმა უკვე დაამტკიცა და გამოქვეყნებისთანავე შევა ძალაში.

ახალი რეგულაციებით, გარემოზე მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით ვალდებულ პირსა და მაკონტროლებელ ორგანოს შორის შესაძლებელი იქნება, დაიდოს ზიანთან დაკავშირებული შეთანხმება, რის თაობაზეც პირმა ამ მაკონტროლებელ ორგანოს უნდა მიმართოს. მაკონტროლებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანო სახელმწიფო იქნება.

ასეთი შეთანხმებით შესაძლებელი იქნება, განხორციელდეს გარემოზე მიყენებული ზიანის ოდენობის თანხის შემცირება ან/და მისი ანაზღაურების გადავადება და/ან განაწილვადება; ასევე – იქნება ზიანის ანაზღაურების სხვა ვალდებულებით ჩანაცვლება.

ამას გარდა, შეთანხმებით შესაძლებელი ხდება ზიანის ოდენობის განსაზღვრა, შემცირება, მისი ანაზღაურების ვადის განსაზღვრა, განაწილვადება ან/და სხვა ვალდებულებით ჩანაცვლება.

### ზუგდიდის ბაზრის მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს

**ზუგდიდის** ბაზრის შესასვლელთან მოვაჭრეთა საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარევაჭრობის აკრძალვას ითხოვენ. მათი თქმით, მყიდველები ძირითადად გარემოვაჭრეებისგან ყიდულობენ სურსათს და ბაზრის შიდა ტერიტორიაზე მოვაჭრეებს პროდუქტები უფუჭდებათ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის თენგიზ ქობალიას თქმით, გარემოვაჭრეები არაერთხელ დააჯარიმეს, თუმცა გარევაჭრობის აკრძალვა ვერ ხერხდება, რადგან დაჯარიმებულ მოვაჭრეთა უმრავლესობა, სოციალურად დაუცველ ფენას წარმოადგენს და ფულად ჯარიმას ვერ იხდიან.

გამგეობის წარმომადგენელი აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ ორშაბათიდან მუნიციპალიტეტის გამგეობა გარევაჭრობის აკრძალვის შესახებ კანონით მინიჭებულ უფლება-მოვალეობებს განახორციელებს. აქციის მონაწილეები, მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, გზის გადაკეტვით იმუქრებიან.

ინტერპრესნიუსი

---



გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, სცენარისტი და კინომოღვაწე

**მერაბ ელიოზიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 6, 7 I, 17 სთ. დაკრძალვა 8 I, 14 სთ. მის. თბილისი, საბურალოს ქ. 40, II კ. მე-2 სად. მე-9 ს.

---

თენგიზ მენთეშაშვილი, ნელი გურგენიძე, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ მიქელაძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, ბორის სარალიძე, ჯემალ კუხალაშვილი, გიორგი გამცემლიძე, ირაკლი ჟორდანია, თემურ თოფურიძე, გრიგოლ შონია, დავით სალარიძე, გივი აბდუშელიშვილი, გივი კვიჭიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკო ლეკიშვილი, ლია ლომიძე, დალი ბოჯგუა, ნათელა ლალიძე, თამაზ ცინცაძე, თამაზ შილაკაძე, გურამ ბერიძე, კახი კავსაძე, ომარ მარგველაშვილი, გივი ანჩაბაძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, სამაგალითო მამულიშვილის

**გურამ გაბუნიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.

---

სნევი, რევაზ თევზაძეები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ გაბუნია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, დალი ბოჯგუა, მადონა მგელაძე, ნათელა ლაღიძე, ლამარა გაგუა, ბელა მაყაშვილი, ნუნუ ანდრონიკაშვილი, გიული ხაბეიშვილი ულრმესი გულისტკივილით იუწყებიან გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, თანამოსაქმისა და მეგობრის

**გურამ გაბუნიას**

გარდაცვალების შესახებ და თანაუგრძნობენ განსვენებულის მეუღლეს ქალბატონ ლიანა ლაშხს, შვილებს, შვილიშვილებს, ნათესავ-მეგობრებს.

---

მამიდაშვილები ნელი, მანანა ჯაბადარი, რუსუდან ქართველიშვილი, ბიძაშვილები თემურ, ზურა გაბუნიები, რძალი დალი გიგინეიშვილი, სიძე ლაშარ ფულარიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გურამ გაბუნიას**

გარდაცვალებას.

---

თენგიზ ქავთარაძე, გრიგოლ ონიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამორჩეული მეგობრის

**გურამ დიმიტრის ძე გაბუნიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ვილენ ალავიძე და ლამარა გაგუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გურამ დიმიტრის ძე გაბუნიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი

**დოდო იორდანიშვილი**

ქართული კულტურისა და ეროვნულ ფასეულობათა ქომაგი, აქტიური, მებრძოლი, ჭეშმარიტი გულშემატკივარი ქართული საქმისა, კეთილშობილი პიროვნება, ერთგული მეგობარი და კეთილსინდისიერი პროფესიონალი.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით ეთხოვება ქალბატონ დოდოს, სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

---


**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში"

299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

### დღე დაიწყეთ წყლითა და ლიმონით



**სუფთა წყალი და ლიმონის წვენი – საუკეთესო ნატურალური ენერგეტიკაა, მიაჩნიათ ბრიტანელ მეცნიერებს. ღამის ძილის შემდეგ ორგანიზმს სჭირდება სითხე, რათა მოხდეს ტოქსინების გაფილტრვა და გავაუმჯობესოთ უჯრედების მუშაობა.** სუფთა წყალი ლიმონის წვენით უზრუნველყოფს ორგანიზმს ჰიდრატაციის საკმარისი დონით, აგრეთვე ანტიოქსიდანტებისა და ელექტროლიტების ოპტიმალური ბალანსით. ლიმონი არის P ვიტამინის ბუნებრივი წყარო, რომელიც რამდენჯერმე აძლიერებს C ვიტამინის მუშაობას. სუფთა წყალი ლიმონით აუმჯობესებს კაპილარების გამტარობას, ახდენს სისხლდენის ნორმალიზებას, რის შედეგადაც თავს გრძნობთ არა აღგზნებულად, როგორც კოფეინის შემთხვევასთან დაკავშირებით, არამედ გამოცოცხლებულად. ტვინში სისხლის მოდინების გაუმჯობესება კი ახდენს აზროვნების გააქტიურებას.

### რაც მეტს მოძრაობ, მით უკეთესად გძინავს

**თუ ივარჯიშებ კვირაში მინიმუმ 2,5 საათს, 65 პროცენტით უკეთ დაიძინებ ღამით და დღისით იქნები გაცილებით უფრო საღად, ამბობენ ამერიკელი მეცნიერები ორეგონის უნივერსიტეტიდან.**

მათ ანალიზი გაუკეთეს 18-85 წლის ასაკის 2600 ქალისა და მამაკაცის ფიზიკურ აქტივობას, აგრეთ-



ვე მათი ძილის ხარისხს. ისინი, ვინც რეგულარულად დადიოდნენ სპორტულ დარბაზში, აცხადებდნენ, რომ ღამით ღრმად ეძინათ, დღისით კი არ აწუხებდათ მძინარობა. რეგულარულ სპორტულ ვარჯიშებს შეუძლიათ შეცვალონ აბები.

სპორტის მოყვარულთა ასევე 68 პროცენტი უფრო იშვიათად უჩიოდა ფეხების კრუნჩხვებს და 45 პროცენტი უფრო იშვიათად – ყურადღების კონცენტრაციის პრობლემებს.

### უჯრედოვანი რაციონი

**ამერიკელებისა და ევროპელების კვების რაციონმა უახლოეს მომავალში, შეიძლება, ცვლილება განიცადოს. ელოდებიან, რომ მალე ისინი უპირატესობას მცენარეულ საკვებს მიანიჭებენ.**

ამის მიზეზია – ამ ცოტა ხნის წინათ რამდენიმე პოპულარულ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიები. ამ სტატიების თანახმად, ექიმებმა დაადასტურეს: უჯრედოვანის მიღება – არის ყველაზე უტყუარი საშუალება ვიცხოვროთ უფრო დიდხანს და შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა. „უჯრედისი უნდა გახდეს ჩვენი რაციონის საფუძველი და უნდა ვეცადოთ, ვჭამოთ რაც შეიძლება მეტი მისი შემცველი პროდუქტი“, – გვირჩევს ჰარვარდის ჯანმრთელობის დაცვის სკოლის წამყვანი სპეციალისტი ფრანკ ხუ. ამ თეზისის დასადასტურებლად ექიმებმა მოაწყვეს გლობალური გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობა 400 ათასმა კაცმა მიიღო. ჯერ კიდევ 1995-1996 წლებში მონაწილეებმა შეავსეს ანკეტები, რომლებშიც საუბრობდნენ თავიანთ უპირატეს სურვილზე კვებაში და მავნე ჩვევების შესახებ. გამოირკვა, რომ მათ, ვინც საკვებში იყენებდა ბევრ უჯრედისს, 22 პროცენტით შეამცირეს სასიკვდილოდ სახიფათო, განსაკუთრებით ონკოლოგიურ დაავადებათა რისკი. მეცნიერები მიიჩნევენ: მამაკაცებმა დღეში უნდა მიიღონ მინიმუმ 38 გრამი უჯრედისი, ქალებმა კი – 25. ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი პროდუქტებია – მუქი ბრინჯი, პარკოსნები, ხორბალი და ოსპი. უჯრედისს ასევე ბევრს შეიცავს ზღვის წყალმცენარეები. ზღვის



წყალმცენარეები – იაპონიის მცხოვრებთა რაციონის მნიშვნელოვანი ნაწილია, ეს ქვეყანა ხომ ცნობილია თავისი ინტელექტუალებით და ხანდაზმულებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კიბოს დაავადებით. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ იაპონელთა სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოება საკვებში სწორედ მდიდარი უჯრედოვანი წყალმცენარეების გამოყენებაა.

უჯრედისი – ეს არის უხსნელი საკვები ბოჭკო, რომელიც მცენარეული საკვების შემადგენელი ნაწილია და რომელიც გადამუშავდება ორგანიზმში, მაგრამ ასრულებს უდიდეს როლს მის სიცოცხლისუნარიანობაში. ნატურალური კომპლექსი კლამინი შექმნილია ზღვის წყალმცენარეებისგან და შეიცავს საკვები ბოჭკოების დიდ ოდენობას.

კლამინი – საკვები დანამატია, რომელიც შექმნილია სპეციალურად გაზრდილი ონკოლოგიური რისკის ადამიანებისთვის. უჯრედისის გარდა ამ ნატურალური ბიოკომპლექსის შემადგენლობაში არის გაცვლითი პროცესის მანორმალიზებელი ზღვის იოდი, სელენი, რომლებიც დამთრგუნავად მოქმედებენ სიმსივნის უჯრედებზე, და სხვა მნიშვნელოვანი მიკროელემენტები. კლამინი იყიდება აფთიაქებში უკვე 18 წელიწადია და არც ძვირი ღირს.

### ელექსირი კარიესისგან

**კალიფორნიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიგონეს პირში გამოსავლები, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს ბაქტერიები, კარიესით რომ იმუქრებიან.** მათ გამოარკვიეს, თუ როგორ მოქმედებენ ერთმანეთთან ბაქტერიები კოლონიებში, რომლებიც კბილებზე ნადებს წარმოადგენენ. და მათთან საბრძოლველად იყენებდნენ „განსაკუთრებით ორიენტირებულ ანტიმიკრობულ პეპტიდებს“, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კარიესის გამომწვევ ბაქტერიებზე, თანაც არ მოქმედებენ სხვებზე. მალე დაიწყება მასშტაბური გამოკვლევები.



## ანეკდოტები

**– მიხო, აბა, მითხარი, რამდენად იყიდის დედაშენი ორ კილოგრამ ვაშლს, თუ ერთი კილოგრამი ორი ლარი ღირს? – ეკითხება მასწავლებელი პირველკლასელს.**

**– არ ვიცი, დედაჩემი ისე ევაჭრება ხოლმე გამყიდველებს!..**

* * *

**პრემიერ-მინისტრის თილისმა – სათამაშო პრეზიდენტი.**



* * *

**– მაინც რითი იწუნებთ ამ ღამის ქოთანს?**

**– სიმართლე თუ გინდათ, მე ცილინდრის ყიდვა მინდოდა...**

* * *

**– მითხარი ერთი, პეტკა, ეს რომა აბრამოვიჩი მართლა ასეთი მდიდარია?**

**– არა, კაცო, იახტა და თვითმფრინავი შარშანდელი კოლექციიდან აქვს შემორჩენილი.**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● პუშკინის ხანაში მარია ლოპუხინას პორტრეტისა ყველას ეშინოდა; გოგონა ძალიან უბედური და სნეული იყო – პორტრეტის დახატვის შემდეგ მალევე ჭლექით გარდაიცვალა. მამამისი, ივან ლოპუხინი, ცნობილი მისტიკოსი და მასონთა ლოჟის მაგისტრი გახლდათ. ამიტომაც დაირხა ხმა, რომ მამამ გარდაცვლილი ქალიშვილის სულის ამ პორტრეტში შეტყუება მოახერხა და თუ რომელიმე ყმაწვილი ქალი ამ სურათს შეხედავს, მალე მოკვდებაო. სალონის ჭორიკანების ვერსიის თანახმად, მარიას პორტრეტს ათამდე საპატარძლოდ გამზადებული თავადის ქალი დაუღუპავს. ამ ჭორებს წერტილი დაუსვა მეცენატმა ტრეტიაკოვმა. მან 1880 წელს პორტრეტი თავისი გალერეისთვის შეიძინა. ახალგაზრდა დამთვალიერებელთაგან აღარავინ მომკვდარა და ჭორებიც დაივიწყეს.**

**● ნორვეგიელ მხატვარ ედუარდ მუნკის შედევრი „ყვირილი“ ოსლოს მუზეუმიდან დღისით-მზისით მოიპარეს. ეს სურათი 70 მილიონ დოლარად არის შეფასებული, მაგრამ ბოროტმოქმედები სარგებელს ვერ ნახავენ, რადგანაც „ყვირილი“ ყველა შეურაცხმყოფელს სამაგიეროს უხდის. მუზეუმში ყვებიან, რომ ერთ მუშას სურათი შემთხვევით ხელიდან გაუვარდა და შურისძიებამაც არ დააყოვნა. იმ დღიდან ბიჭს საშინელი თავის ტკივილი დაეწყო, შემდეგ უფრო გაუძლიერდა და სასოწარკვეთილმა თავი მოიკლა, ერთი კაცი კი სურათს თითით შეეხო და იმ დღეს მის სახლ-კარს ხანძარი გაუჩნდა და თვითონ შიგ დაიწვაო.**

**● ჰოლანდიელი მხატვარი პიტერ ბრეიგელი-უფროსი „ქურუმების თაყვანისცემას“ ორი წელიწადი ხატავდა. წმიდა მარიამის პირველსახედ თავისი დეიდაშვილი გამოიყენა. ქალი ბერწი იყო, რისთვისაც ქმარი ხშირად სცემდა და როგორც შუა საუკუნეების ნიდერლანდელები ამბობდნენ, სწორედ მან დაასნებოვნა სურათი. „ქურუმი“ ოთხმა კერძო კოლექციონერმა შეიძინა სხვადასხვა დროს და ოთხივეს ოჯახში 10-12 წელს ბავშვი არ გაჩენილა. ბოლოს 1637 წელს სურათი არქიტექტორმა იაკობ ვან კაპენმა შეიძინა, მას იმ დროს უკვე 3 შვილი ჰყავდა და უშვილობისა ნაკლებად ეშინოდა.**

**● ბავარიელები ლუდს თხევად პურს უწოდებენ.**

**● ძველ ბერძნულ ენაზე „პანდორა“ „ყველაფრით დაჯილდოებულს“ ნიშნავდა. გამოთქმა „პანდორას ყუთი“ კი უბედურების სინონიმია. უძველეს დროში ადამიანებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა იყო სევდა, მწუხარება, უიმედობა, ავადმყოფობა და კაცთა სხვა მრავალი უბედურება. როცა პრომეთემ ღმერთს ცეცხლი მოსტაცა ხალხისთვის, განრისხებულმა ზევსმა ადამიანთა მოდგმის დასჯა განიზრახა და მისი დავალებით ოლიმპოს ღმერთებმა დედამიწაზე დაჯილდოებული ქალი – პანდორა გამოგზავნეს, თან საჩუქრად დაკეტილი ყუთი გამოატანეს. ეს მშვენიერი ქმნილება, პრომეთეს ძმას, ეპიმეთეს გაჰყვა ცოლად, პრომეთემ იცოდა, რომ ზევსს კაცთა მოდგმის დასჯა ჰქონდა განზრახული და ძმა გააფრთხილა, რომ არანაირი საჩუქარი არ მიეღო ღმერთებისგან. ეპიმეთემ დაივიწყა ძმის გაფრთხილება, მიიღო ზევსის ნაბოძები ნივთი. ცნობისმოყვარე პანდორა დაინტერესდა, რა იყო ყუთში და ოდნავ ახადა. იქიდან კი ყველანაირი უბედურება ამოზღვავდა. პანდორამ სწრაფად დახურა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ყუთის ფსკერზე მხოლოდ უკეთესი მომავლის იმედიღა დარჩენილიყო.**

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24